Conflict Resolution and Peacebuilding Historical Archive of Georgia, by ICCN

საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი 2008 წ.
http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1329&info_id=21604

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისის ხელმძღვანელობა:

დავითაია პაატა - თავმჯდომარე

წევრები

1. **გაბაშვილი გიორგი**
2. **გოგორიშვილი ხათუნა**
3. **გოგუაძე გია**
4. **ვეფხვაძე ლევანი**
5. **თარგამაძე გიორგი (გივი)**
6. **თედორაძე რამაზი**
7. **ლალიაშვილი ნიკოლოზი**
8. **ლორთქიფანიძე დიმიტრი**
9. **მინაშვილი აკაკი**

2008-10-27 23:19

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 27 ოქტომბრის სხდომის სტენოგრამა

I ნაწილი

(სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი)

2008-10-27 23:19

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 27 ოქტომბრის სხდომის სტენოგრამა

სხდომას თავმჯდომარეობს პარლამენტის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე პ.დავითაია

თავმჯდომარე. დიდი მადლობა ბატონ თემურს, მობრძანებისათვის. როგორც იცით, ჩვენი კომისია, საპარლამენტო კომისია შექმნილი არის, აგვისტოს მოვლენების შესწავლასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ბატონო თემურ, თქვენ მზად ხართ, თუ არა ითანამშრომლოთ კომისიასთან და თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მოგვაწოდოთ ინფორმაცია ამ მოვლენებთან დაკავშირებით.

თ.იაკობაშვილი. კი, ბატონო.

თავმჯდომარე. დიდი მადლობა. მუშაობის წესი, რაც ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ამ დღეების განმავლობაში ასეთია, რომ ჩვენ რამოდენიმე კითხვას დავსვამთ ბლოკებისდა მიხედვით და თქვენ გასცემთ პასუხს და მეც ,რაც დამატებითი კითხვები იქნება თუ ვთქვათ, დაზუსტება, კომისიის წევრებს ექნებათ უფლება ეს კითხვები დასვას. ბატონო თემურ, როგორც ცნობილი არის, საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე აგვისტოში, სიტუაცია აგვისტომდე, ძალიან იძაბებოდა ფაქტიურად, ძალიან მძიმე ვითარება იქნა შექმნილი სახელმწიფოში და რეალურად ეს აგრესია არ დაწყებულა აგვისტოს თვეს,

დაიწყო უფრო ადრე და ამის, ძალიან ,ბევრი პირობები არსებობდა. აქედან გამომდინარე, თქვენ, როგორც სახელმწიფო მინისტრი ღებულობდით თუ არა ინფორმაციებს დაზვერვის დეპარტამენტიდან და სხვა უწყებებიდან კონფლიქტის მოსალოდნელი ესკალაციის შესახებ, და რა ღონისძიებები გაატარეთ ამასთან დაკავშირებით. ეცადეთ თუ არა, თქვენ კონფლიქტის დასაწყისში დაკავშირებოდით კონფლიქტის მხარეს და გთხოვთ, რომ ქრონოლოგიურად მოგვიყვეთ აი, ის 6,7,8 , 9 აგვისტოს, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები და რა ქმედითი ღონისძიებები გაატარეთ საერთაშორისო დონეზე იმისათვის, რომ გამოჩენილიყო რუსეთის მხრიდან აგრესიის მზადება, სიტუაცია, როცა იძაბებოდა კოორდინირებდით თუ არა, თქვენ ძალოვან სტრუქტურებთან. პირველი ბლოკის შეკითხვების, იქნება ეს, თუ ვინმეს დამატება არ სურს, ამ კითხვებზე, დიახ, ქალბატონო ხათუნა,

ხ.გოგორიშვილი. ბატონო თემურ, ორი შეკითხვა მე მაინტერესებს, რომ თქვენ გვიპასუხოთ კონკრეტულად, რა ინიციატივები გააჩნდა საქართველოს მთავრობას და პირადად, თქვენ კონფლიქტის დაწყებამდე ინტერვენციის დაწყებამდე და ,თქვენი აზრით, ამოწურა თუ არა საქართველოს ხელისუფლებამ კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის დიპლომატიური ყველა მექანიზმი თუ შესაძლებელი იყო კიდევ, რაიმე დამატებითი მექანიზმების გამონახვა, პირდაპირი კავშირები იგივე ოსეთის მხარესთან და, ალბათ, მერე კიდევ იქნება ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ჩემთვისაც და მე ვფიქრობ, საზოგადოებისთვისაც განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს უშუალოდ 6 და 7 აგვისტოს განმავლობაში თქვენი კონკრეტული ინიციატივები და ქმედებები სამშვიდობოებთან და ოსეთის წარმომადგენლებთან.

გ.თარგამაძე. და უფრო დავაზუსტებ. ჯერ ერთი, შეიძლება ასევე დაწვრილებით კულახმეტოვის გამონათქვამები და პოზიციები უშუალოდ ომის წინ რომ მოგვიყვეთ. გმადლობთ.

ა.მინაშვილი. ბატონო თემურ, ქალბატონმა ხათუნამ ისაუბრა ინიციატივებზე, რა პასუხი იყო დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან კონკრეტულ ინიციატივებზე და მაგალითისთვის შტაინმაიერის გეგმაზე. და კიდევ ერთი კითხვა, როდის განაცხადა საქართველოს ხელისუფლებამ საჯაროდ რუსული არმიის, რეგულარული არმიის საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრის შესახებ კონკრეტულად. დიდი მადლობა.

თ.იაკობაშვილი. დიდი მადლობა, პატივცემულო პარლამენტის წევრებო, დიდი მადლობა მოწვევისთვის. მე შევეცდები ამ კითხვებს გავცე პასუხი, ეს რაც გარკვეული თანმიმდევრობით და თქვენი ნებართვით მაშინ დავალაგებ მას რამოდენიმე ბლოკად. პირველი, დავიწყებ იქიდან, რომ როგორც ბატონმა თავმჯდომარემ სწორად აღნიშნა, ეს პროცესები არ დაიწყო აგვისტოს თვეში, დაიწყო მანამდე და იმ მომენტისათვის,როდესაც ამ უწყებას შეეცვალა სახელი, და მას დაერქვა რეინტეგრაციის, ასე ვთქვათ, სახელმწიფო მინისტრის აპარატი.მთავრობის განზრახვა იყო გადაეხედა არსებული სამშვიდობო ფორმატებისთვის, და გამოენახა ისეთი სამშვიდობო ფორმატები, რომელიც ,პირველ რიგში,იქნებოდა ადეკვატური რეალობისადმი, მეორე შემთხვევაში ასახავდა იმ აუცილებელ პირობებს, რომელიც უნდა ყოფილიყო ინგრედიენტებად ამ სამშვიდობო პროცესში, და მესამე იქნებოდა რეზულტატზე ორიენტირებული, რომ მიგვეღო შედეგი და თავიდან აგვეცილებინა სამხედრო კონფრონტაცია. ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია პატარა ასეთი მიმოხილვითი შეფასება არსებული სამშვიდობო ფორმატებისა, რომელზეც იყო ლაპარაკი, და რომელმაც არ იმუშავა და რომელმაც მიგვიყვანა მერე ესკალაციამდე. ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში თქვენ იცით, რომ ასე ვთქვათ, ეგრეთ წოდებული, "ესკაკა", შერეული საკონტროლო კომისია, რომელიც, რომლის დიზაინიც თავიდანვე იყო საკმაოდ უცნაური, როდესაც ერთ მხარეს იყო რუსეთი, ჩრდილოეთ ოსეთი და სამხრეთ ოსეთი, ანუ, ფაქტიურად, რუსეთის ამ სხვადასხვა ინკარნაციაში და მეორე მხარეს იყო საქართველო. აფხაზეთთან მიმართებაში იყო სამშვიდობო პროცესი, რომელსაც ერქვა სახელად "ჟენევის მოლაპარაკებები", ეს არა, რომელიც ეხლა ჩატარდა, წინა მოლაპარაკებები, და ორივე შემთხვევაში, ჩვენდა სამწუხარდ, არ იღებდნენ მონაწილეობას ამ რეგიონიდან დევნილი, ან ამ რეგიონში მცხოვრები სხვა მოსახლეობის წარმომადგენლები. ანუ იყო ლაპარაკი, რომ ველაპარაკებით მარტო სეპარატისტებს და მეორე მხარეს წარმოადგენდა მაინცდამაინც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება და ე.ი. არც აფხაზეთიდან დევნილების ინტერესები იყო წარმოდგენილი მათ მიერ და არც თვითონ, ცხინვალში რეგიონში მცხოვრები ხალხის. აქედან გამომდინარე, პირველი, რაც ჩვენ გავაკეთეთ, დავაყენეთ კითხვის ნიშნის ქვეშ ყველა ეს ფორმატები და ვთქვით, რომ ფორმატი ,რომელიც უწყობს ხელს მხოლოდ გაყინვას და არა მოწესრიგებას, არ შეიძლება იყოს, ასე ვთქვათ, დატოვებული ამ მდგომარეობაში როგორიც ის არის და არამარტო ვთქვით, რომ ეს არ ვარგა ,მით უმეტეს, არ ვარგა იმდენად, რამდენადაც არ მუშაობდა და ყოველთვე გვქონდა ხოლმე ესკალაციის სხვადასხვანაირი გამოვლინებები, გვქონდა საკმაოდ აღმაშფოთებელი ფაქტებიც, მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული. ამიტომ ჩვენი მიზანი იყო ფორმატების იმ ფორმატში გადაყვანა, რომელშიც ადეკვატურად იქნებოდა წარმოდგენილი ყველა მხარე, რომელიც
იქნებოდა რეზულტატზე ორიენტირებული და , რომელიც აუცილებლად გაითვალისწინებდა საერთაშორისო ორგანიზაციების სხვანაირი ფორმით მონაწილეობას, და არა ისე, როგორც იყო აქამდე. ამ სამშვიდობო ფორმატების ყველაზე დიდი ნაკლი, გარდა ამ ყველაფრისა, რაც ჩამოვთვალე, იყო ისიც რომ რუსეთი გამოდიოდა როგორც შუამავალი, და არა როგორც კონფლიქტის მონაწილე მხარე და არა უბრალოდ შუამავალი, არამედ წამყვანი შუამავალი და მას ჰქონდა ექსკლუზიური უფლებები ბევრ რამეზე, მათ შორის, სამშვიდობო ძალების ყოლაზეც, რომელიც რანაირი სამშვიდობოებიც იყვნენ ჩვენ კარგად დავინახეთ, ბოლოს განვითარებული მოვლენების დროს. ამდენად, ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები ითვალისწინებდა აი ამ ფორმატების ცვლილებას ისე, რომ ჩვენ ადეკვატურად ასახვა გვქონოდა და ადეკვატურად ჩაგვერთო, სხვა ორგანიზაციები. განსაკუთრებით მინდა გულახდილად გითხრათ, ევროკავშირი ამ პროცესში. ევროკავშირი იმდენად, რამდენადაც ევროკავშირში რუსეთს არ

აქვს არც ვეტოს უფლება, არც დაბლოკვის საშუალება, არც სხვანაირი მანიპულირების საშუალება, როდესაც გაეროში ის არის უშიშროების საბჭოს წევრი და კონსესუსის პრინციპი მუშაობს ეუთოში.

თავიდანვე ასე ვიცოდით, რომ 2008 წელი იყო საკმაოდ დაძაბული წელი, პოლიტიკური თვალსაზრისით. გარდა იმისა, რომ საქართველოში იყო ორი არჩევნები. წყდებოდა კოსოვოს ბედი, რომელსაც უშუალოდ გავლენა ექნებოდა ჩვენზე. იყო ბუქარესტის, უკაცრავად, სამიტი ნატოსი, ასევე არჩევნები ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოლიმპიადა და დროის თვალსაზრისით ეს ყველა მოვლენა, რუსეთში არჩევნები, რაღა თქმა უნდა, შეიცავდა თავის საფრთხეებს საქართველოსთვის და ჩვენ პარალელურ რეჟიმში ვცდილობდით ამ საფრთხეების დარეგულირებას ისევ და ისევ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვის მექანიზმებით. ამ რეალობაში, რომელსაც ეხლა აგიღწერთ, იყო, ესე იგი, აფხაზების მხრიდან ცალმხრივი უარი მოლაპარაკებებზე წამოსვლისთვის და ისინი წინაპირობად აყენებდნენ ქართული საპოლიციო შენაერთების, რომლებსაც ისინი მაინცდამაინც საჯარისოს ეძახდნენ, გაყვანას კოდორის ხეობიდან ანუ კოდორის ხეობაში სტატუს–კვოს აღდგენას. ეს იყო მათი წინაპირობა. ხოლო სეპარატისტი ხელისუფალნი ცხინვალისა ითხოვდნენ მაინცდამაინც შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატში დაბრუნებას, რომელსაც არ მოჰქონდა არანაირი შედეგები და ეს კომისია თავისივე გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, არ ასრულებდა ხოლმე. ამის პარალელურად ისინი ითხოვდნენ ორივე შემთხვევაში ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულების დადებას უშუალოდ მათთან. ანუ საქართველოს, როგორც სუბიექტს, უნდა დაედო მათთან როგორც სუბიექტებთან, მათი აზრით,ხელშეკრულება, რაზეც ჩვენი პასუხი იყო ძალიან მარტივი, რომ მოდით, გადავიდეთ ახალ ფორმატებზე მოლაპარაკებებზე, რომლებშიც ყველანი იქნებიან წარმოდგენილი ადეკვატურად და შესაბამისად ,შეგვეძლება ჩვენ პროგრესის მიღწევა.

ცხინვალთან მიმართებაში ჩვენი ფორმულა იყო 2+2+2, რომელიც ითვალისწინებდა ცხინვალის სეპარატისტულ ხელისუფლებას პლუს არასეპარატისტული ხელისუფლება იმ რეგიონისა. იმიტომ, რომ ჩვენ ყველას ვეუბნებოდით ჩვენს დასავლელ პარტნიორებსაც, რომ არ შეიძლება, რომ ჩვენ რეგიონის მომავალზე ვილაპარაკოთ, თუ რეგიონის მხოლოდ ერთ ნაწილ მოსახლეობას ვუსმენთ და მეორე ნაწილს არ ვუსმენთ. ამდენად, ადეკვატური რომ ყოფილიყო რეგიონზე და მის მომავალზე მსჯელობა, უნდა ყოფილიყო ყველა თანაბრად წარმოდგენილი. ასევე საქართველო, როგორც მხარე, უნდა ყოფილიყო მეორე ნაწილში წარმოდგენილი და რუსეთი, რომელიც ამ კონფლიქტში, როგორც ჩართული მხარე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ეს არის პლუს მეორე, ორი, საქართველო და რუსეთი და ორი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც უკვე მონაწილეობდა ცხინვალის რეგიონში, ეს იყო ეუთო და ეს იყო ევროკავშირი, რომელიც იმ ეტაპზე მხოლოდ ეკონომიკური დახმარების პროექტების დაფინანსებით შემოიფარგლება და ანუ ჩვენი ფორმულა 2+2+2 ითვალისწინებდა სეპარატისტული და არასეპარატისტული ხელისუფლების ბლოკს, საქართველო და რუსეთი, ევროკავშირი და ეუთო. ცოტა მოვლენებს რომ წინ გავასწროთ, ამ ფორმატის აუცილებლობა და ძველი ფორმატის შეცვლის საჭიროება, უკვე სადღაც, ზაფხულში აღიარებული იქნა ეუთოს მიერ. თვითონ ეუთოს თანათავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ არსებული ფორმატები ცხინვალის კონფლიქტთან დაკავშირებით აღარ მუშაობს და საჭიროა მათი გადახედვა, ანუ ჩვენი ინიციატივები ითვალისწინებდა იმას, რომ აი ეს, ფორმატებზე გადასვლის გზით, ჩვენ რეალურად დაგვეწყო მოლაპარაკებები კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტამდე. იყო, რა თქმა უნდა, ბევრი დეტალური მიწერ–მოწერა, ბევრი საუბრები, რომლის საუბრის ჩანაწერები არსებობს და საჭიროების შემთხვევაში კომისიის წევრებს შეუძლიათ ეს ყველაფერი მიიღონ და ბოლო პერიოდი, სანამ დაიწყებოდა საომარი ქმედებები ზაფხულში, იყო ბოლო ორი წინადადება, ორი ინიციატივა. ერთი, მომავალი ევროკავშირის მხრიდან, მეორე, მომავალი ეუთოს თავმჯდომარეობის მხრიდან, რომ გამართულიყო შეხვედრა სეპარატისტულ მხარესთან, რომელზეც ჩვენ ყოველთვის ვაცხადებდით მზადყოფნას, ევროპაში ან ბრიუსელში, ან ჰელსინკში. ორივეზე უარი განაცხადეს სეპარატისტებმა. რუსების პოზიცია იყო ძალიან კარგად ნაცნობი, რომ იძახდნენ, ჩვენ კი გვინდა, მაგრამ აი კოკოითი უარზეა და ყველანაირი მეთოდებით ცდილობდნენ ისინი ჩაეგდოთ ყველანაირი მოლაპარაკებების პროცესი და ნუ, ბოლო შეთანხმებებზე და ბოლო წინადადებებზე მოგვიანებით ვილაპარაკებ, მაგრამ სადღაც კოსოვოს მერე გამოჩნდა, რომ ყველანაირად ცდილობენ, რაც შეიძლება ან, ესე ვთქვათ, ლაპარაკი ლაპარაკისთვის, ფორმატში გადასულიყო მოლაპარაკებები, არანაირი ძვრები არ ყოფილიყო და მაქსიმალური დისტანცირება საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობისაკენ. ეს იყო პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ ვუყურებდით სეპარატისტების მხრიდან და ეს იყო პოლიტიკა, რომელსაც ვუყურებდით რუსეთის მხრიდან. აფხაზეთთან მიმართებაშიც საკმაოდ დინამიურად ვითარდებოდა მოვლენები. პირველი შეხვედრა ჩემი, ყოველ შემთხვევაში, მათთან, პირველი კონტაქტი იყო ჟენევაში და მინდა გითხრათ, რომ ჟენევის პირველმა შეხვედრამ, ჩემთვის საკმაოდ ნეგატიური, ესე ვთქვათ, კვალი დატოვა იმდენად, რამდენადაც ჟენევის შეხვედრა, ეს ფორმატი იყო საშინაო დავალებების მიცემა ქართველებისთვის და სეპარატისტი აფხაზებისთვის. წადით, შეასრულეთ, მერე მომიყევით თუ არ შეასრულებთ, რატომ არ შეასრულებთ და ა. შ. და ა. შ. რაღაცა ესეთი, არანაირად ამას სამშვიდობო პროცესის ფორმა, შემიძლია გულახდილად გითხრათ, არ ჰქონდა.

გადაწყვეტილებაზე, რომელიც მიღებულ იქნა მაშინ, რომელზეც ქართულ დელეგაციას ძალიან სერიოზული ბრძოლა მოუწია, იქამდეც კი, რომ ჩვენ ვთქვით, რომ თუ იქ არ იქნებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დაფიქსირებული რაიმე ფორმით, ჩვენ ავდგებით და გამოვალთ ამ შეხვედრიდან. ეს, მინდა შეგახსენოთ, რომ ხდება კოსოვოს გადაწყვეტილებამდე რამოდენიმე დღით ადრე ნუ, როგორც იქნა მოხერხდა, ასე ვთქვათ, ამის აღნუსხვა, იქ ჩაწერა ისეთი თემების, როგორიც იყო, განმუხურის ბანაკი რატომ გაიხსნა, ისეთი იყო თემები, როგორიც არის, ზემო აფხაზეთში, რატომ არის საქართველოს პოლიცია და აი, ამ თემების საერთოდ ამოღება უკვე ამ დოკუმენტისა. იმიტომ, რომ ჩვენი პრინციპული პოზიციები იყო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს ხელმძღვანელობა ახალგაზრდულ ბანაკს გახსნის თუ პოლიციას შეიყვანს მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, ეს არ

არის სამშვიდობო მოლაპარაკებების განხილვის თემა.

ამ შეხვედრის მერე ჩვენ დავკარგეთ რუსული მხრიდან მომლაპარაკებელი, იმიტომ, რომ ბატონი ჩერნოვი, რომელიც იყო იმ პერიოდში მომლაპარაკებელი გადაიყვანეს სხვა უწყებაში და მას მერე ვლაპარაკობთ, თებერვლის მერე, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში საგანგებო დავალებათა ელჩი ან ვინმე მაღალი დონის დიპლომატი, რომელიც წაიყვანდა ამ თემას აღარ არსებობდა, დღესაც არ არის. თემას უშუალოდ კურირებდა, შეიძლება ეხლაც ითქვას, კურირებს ბატონი კარასინი, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გავლენა ამ პროცესებში, პრინციპში, იყო მინიმალური და შემოიფარგლებოდა მხოლოდ და მხოლოდ ქართული მხარისთვის რაღაცეების დაბრალებით ან გამოღმა შემოდავებით ან რაღაც რუსული დიპლომატიისათვის ნაცნობი სხვა ხრიკებით. ამისდა მიუხედავად, თქვენ მოგეხსენებათ, რომ ჩვენ გამოვედით ძალიან კონკრეტული ინიციატივით. იყო პრეზიდენტის ინიციატივა, სამშვიდობო გეგმა აფხაზეთთან მიმართებაში, რომელიც სხვა ინიციატივებისგან განსხვავდებოდა იმით, რომ იყო ძალიან კონკრეტული და როდესაც ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ აბა, ზუსტად რას გვთავაზობთ და გვითხარით დეტალურად რას გვთავაზობთ.

იყო პასუხი გაცემული ამ კითხვაზე და იყო ძალიან დეტალური შეთავაზებები აფხაზეთთან მიმართებაში. და ისიც მინდა ვუთხრა დამსწრე საზოგადოებას, რომ ეს გეგმა შემუშავებული იყო მთელი რიგი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილების გათვალისწინებით. ჩვენ უწყებაში დღემდე მოქმედებს ე.წ. ექსპერტთა საბჭო, რომელიც შედგება არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელების და ექსპერტების წარმომადგენლებისაგან, რომლებთანაც ჩვენ რეგულარული შეხვედრები გვაქვს აზრთა გასაცვლელად და სხვადასხვა აზრების მოსასმენად. და პრეზიდენტის სამშვიდობო ინიციატივა ეფუძნებოდა აი ამ შეხვედრებს,

მინდა გითხრათ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც ჩვენ პირველად აფხაზებს შევთავაზეთ ძალიან კონკრეტული რამეები. მათ ჩვენ შევთავაზეთ ის მოწყობა, რომელ მოწყობაშიც ჩვენ ვხედავდით აფხაზეთს საქართველოს ტერიტორიაში და როგორ და რანაირად, შევთავაზეთ აფხაზებს საქართველოს მმართველობაში მონაწილეობის მიღება ანუ მათ სეპარატისტულ პოლიტიკურ ელიტას განვუსაზღვრეთ როლი და ადგილი ანუ ეს არ იყო ლაპარაკი, რომ თქვენ შემოხვალთ და მერე თქვენი მომავალი იქნება უცნობი და გარანტიები აფხაზური ეთნოსის არა მარტო შენარჩუნების, არამედ განვითარებისთვისაც, რაც გამოიხატებოდა ვეტოს უფლებებში, როგორც აფხაზეთთან მიმართებულ საკითხებში, ისე აფხაზთა, როგორც ეთნოსთან მიმართების საკითხებში.

მინდა გითხრათ, რომ აფხაზებს ნებაც კი არ დართეს, რომ ეს სამშვიდობო ინიციატივა ხელში აეღოთ. ჩვენ ორი სხვადასხვა წყაროთი გავუგზავნეთ და ორივე წყარომ გვითხრა, რომ აი, ხელის მოკიდებაც კი იუკადრისეს. მე არ ვიცი ახლა, მათი გადაწყვეტილება იყო თუ ასე ურჩიეს, ყოველ შემთხვევაში, აფხაზებმა თავი ძალიან შორს დაიკავეს სამშვიდობო გეგმისაგან. მოგვიანებით ჩვენ მივიღეთ დოკუმენტი, რომელიც, ნუ, შემიძლია განახოთ ეს დოკუმენტი, იმდენად მიუღებელ პუნქტებს შეიცავდა, რომ განსახილველად გამოტანაც კი ისეთი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ შევეცადეთ, რომ მოგვენახა რაღაც ისეთი საერთო წერტილები, რომლებზეც შეიძლებოდა საუბარი დაგვეწყო. იმიტომ, რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საერთოდ უარს იძახდნენ საუბარზე, საერთოდ უარს იძახდნენ შეხვედრაზე.

მე არაერთხელ შევუთვალე, რომ, მზად ვარ, ჩამოვიდე მეთქი სოხუმში და დავიწყოთ ლაპარაკი და ჩვენგან იქნა გაგზავნილი კიდევ პაკეტი მთელი წინადადებებისა, რაზეც შეიძლებოდა დაგვეწყო საუბარი, კონკრეტულად, ვთავაზობდით ჩვენ უკვე ისეთ მექანიზმებს, რომელიც რეალურად შეუწყობდა ხელს შერიგებას. ძირითადად, ეს იყო ეკონომიკური მექანიზმები ორივე შემთხვევაში, თავისუფალი ეკონომიკური ზონა გალში და ოჩამჩირეში აფხაზეთთან მიმართებაში და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში ასევე, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გეგმები, რომელიც ითვალისწინებდა უკვე იმ რეგიონთან ახლოს ასეთი მექანიზმების განვითარებას, რომელიც ხალხთაშორის ურთიერთობებს შეუწყობდა ხელს.

მინდა გულახდილად გითხრათ, რომ დღემდე მიმაჩნია და გუშინაც და იმის წინაც მიმაჩნდა, რომ მარტო გერმანიაში წასვლა და იქ სეპარატისტ აფხაზებთან და სეპარატისტ ოსებთან ლაპარაკი ან კიდევ სხვა ქვეყანაში, მაინცდამაინც დიდი სარგებლის მომტანი არ არის. მნიშვნელოვანია, მაგრამ, ალბათ, უნდა იურთიერთონ არა მოსახლეობამ უფრო, ვიდრე სახელმწიფო, თუ არა სახელმწიფო სექტორის 20–მა კაცმა აქედან და იქიდან.

ამის გარდა, ჩვენ აფხაზებს შევთავაზეთ, სეპარატისტ აფხაზებს, უსაფრთხოების მთელი რიგი მექანიზმები და მთელი რიგი მექანიზმების ამუშავება, რომელიც სამუშაო დონეზე ხელს შეუწყობდა მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტას, რომელიც უშუალოდ შეხების ადგილებში ხდებოდა ხოლმე, ე. წ. ოთხმხრივი შეხვედრები ანუ ჭუბურხინჯის, რასაც ეძახდნენ, იმის უკვე მოდიფიცირებული ვერსია, როდესაც შეხვედრები მოხდებოდა არა მაინცდამაინც ჭუბურხინჯში, არამედ მოხდებოდა გაეროს შტაბბინაში, როგორც ზუგდიდში, ასევე გალში და არა რუსების ბაზაზე. ჭუბურხინჯის ბაზა ეხლაც არის, სამწუხაროდ და ასევე შემუშავებულ იქნა მთელი რიგი წინადადებები, რომელიც გაეგზავნა ევროკავშირს, მათთან მიდიოდა აქტიური კონსულტაციები თუ ჩვენ როგორ ვხედავდით, საქართველოს მხარე როგორ ხედავდა ევროკავშირის ჩართვას ამ კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში.

ეხლა მე ძალიან ვრცლად გიყვებით, უკაცრავად, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ეს დეტალები მნიშვნელოვანია იმის წარმოსაჩენად, რომ ეს პერიოდი, დაუშვათ, წლის დასაწყისიდან იყო ძალიან აქტიური, პროაქტიური ქმედებები

ხელისუფლების მხრიდან იმისათვის, რომ ჩვენ გამოგვენახა გამოსავალი და ამასთანავე ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობდით მთელ რიგ ევროპულ არასამთავრობო კვლევით ცენტრებთან, რომლებმაც ასევე შეიმუშავეს, ოთხმა ძალიან ავტორიტეტულმა, ევროპულმა, არასამთავრობო ორგანიზაციამ შეიმუშავა კინფლიქტების მოწესრიგების პროექტი და კონკრეტული წინადადებები, რომელიც შესთავაზეს უკვე ევროკავშირის ხელმძღვანელობას ჩვენთან აქტიური თანამშრომლობის გზით.

ასევე, მომზადდა ასეთივე პროექტი ატლანტიკური საბჭოს მიერ ამერიკის შეერთებული შტატებში, რომელთანაც აქტიურად ვმუშაობდით. ანუ იყო ჩვენი წინადადებები, იყო ჩვენი დახმარების წინადადებები უცხოურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და იყო უაღრესად ინტენსიური კონტაქტი ევროპელებთან, ამერიკელებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მე რამოდენიმეჯერ ვიყავი ეუთოში ჩასული ფორმატთან დაკავშირებით, გაეროს უშიშროების წევრებთან, სახელმწიფოებთან მქონდა ძალიან ინტენსიური კონტაქტები, ასევე ევროკავშირში მთელი რიგი შეხვედრები იმისათვის, რომ, პირველ რიგში, ჩვენ უფრო აქტიურად დაგვენახვებინა ჩვენი სურვილი, რომ მზადა ვართ მოლაპარაკებისთვის, შეგვექმნა ადეკვატური ფორმატები და იმის პარალელურად, რაც ხდებოდა უკვე კონფლიქტურ რეგიონებში, მოგვეხდინა ე. წ. ალარინიზაცია ანუ მათი ინფორმირებულობა და რაც შეიძლება აქტიური მხარდაჭერა მოგვეპოვებინა დასავლეთის მხრიდან. ალარინიზაცია, პრინციპში, დაიწყო კოსოვოს მერე პირდაპირ, შემიძლია გითხრათ, იმიტომ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ იყო განცხადებები, რომ რუსები არ დაიწყებენ არც, ქართულად "აბეზიანიჩიც" როგორ არის, მაიმუნობას, არ ვიცი, ახლა მთლად სწორი ტერმინი შეიძლება არ არის, მაგრამ ეს განაცხადა რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა.

ჩვენ, პრინციპში, სახეზე გვაქვს კოსოვოს მოდელის დუბლირების მცდელობა. შეიძლება, უბრალოდ, ჩამოვთვალოთ, რომ მოვლენები, რომელიც ვითარდებოდა ამ პერიოდში, იყო განცხადება კოსოვოს მერე, რომ რუსებს აქვთ თავისი საშინაო რაღაც მომზადებული რაღაც ნაბიჯები, რომელიც დაიწყო მაშინდელი პრეზიდენტის, პუტინის წერილებით აფხაზ და ოს სეპარატისტებისადმი. ეს იყო პირველი ნიშანი იმისა, რომ რუსები რაღაცას ამზადებდნენ, რომელიც გამოიხატა დსთ–ს სანქციების მიტოვებით და იქიდან გამოსვლისთვის. ეს იყო პირველი სიგნალი იმისა, რომ რუსეთი ცვლიდა პოლიტიკას და ამასთან დაკავშირებით, ჩვენ გვქონდა საკმაოდ სერიოზული საუბარი ჩვენ დასავლელ მეგობრებთან და ჩვენი არგუმენტი იყო ესეთი, რომ ეს სანქციები, რასაც რუსები ლაპარაკობენ, ძირითადად, 95% ეხება სამხედრო თემატიკას და მხოლოდ 5%–ია იქიდან ეკონომიკური ხასიათის და ჩვენი წინადადებებით, მზად ვართ, ყველანაირი ეკონომიკური იზოლაცია აფხაზეთისა, ამ შემთხვევაში და ცხინვალის რეგიონისა, მოვსპოთ.

ჩვენი მხარე გამოდიოდა წინადადებებით, რომ ეკონიომიკური ურთიერთობები ამ ორივე რეგიონთან განვითარებულიყო, გახსნილიყო როგორც აფხაზეთი ისე ცხინვალის რეგიონი დანარჩენ საქართველოსთან ეკონომიკური თვალსაზრისით და ამის მექანიზმები იყო თავისუფალი ეკონომიკური ზონები. ამიტომ ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ ვიღაცის იზოლაციას ვაკეთებდით ანდა ვზღუდავდით მათ განვითარებას, ეს ყველაფერი არ არის სწორი. ჩვენი ინიციატივა იყო, პირიქით, ამ ეკონომიკური ურთიერთობების გაზრდა.

თავმჯდომარე. ბატონო თემურ, დავაზუსტებ ერთ რაღაცას, რაც თქვენ ეხლა ეკონომიკურ ზონებზე საუბრობთ, იმიტომ, რომ იგივე კითხვა დაისვა საგარეო საქმეთა მინისტრთან. საზოგადოებაში გაჩენილია ასეთი აზრი, თითქოსდა ხდებოდა მოლაპარაკება ტერიტორიის გაყოფის. ამიტომ ეს დეტალურად ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

თ.იაკობაშვილი.კი, მაგაზეც გეტყვით დეტალურად. ერთ–ერთი ბოლო გეგმა, რომელიც ჩვენ შევთავაზეთ რუსებს აი, ცნობილ წერილზე, რომელზეც არის ლაპარაკი. ჩვენი გეგმა იყო ასეთი, რომ საწყის ეტაპზე იმისათვის, რომ ჩვენ მოგვეხდინა დასავლეთის, ასე ვთქვათ, შემოყვანა, ლტოლვილების დაბრუნება ეტაპობრივად დაგვეწყო და დაგვეწყო ის გალისა და ოჩამჩირის რაიონიდან.

ჩვენ ადრეც მიგვაჩნდა და დღესაც მიგვაჩნია, რომ ლტოლვილების ქაოტურად და დევნილების დაბრუნება დაუშვებელია. უნდა მოხდეს ლტოლვილებისა და დევნილების დაბრუნება უსაფრთხოდ და ღირსეულად.

უსაფრთხოდ – ნიშნავს, რომ მათი უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს ან ქართულმა პოლიციამ, ან თუ პოლიცია ვერ შედის ამ ეტაპზე, საერთაშორისო სამშვიდობო ძალებმა. სამწუხაროდ, საერთაშორისო სამშვიდობო ძალები ასეთ შემთხვევაში დღემდე ჩვენ არ გვყავს და არც მაშინ გვყავდა.

რუსების სამშვიდობოების ე.წ. ხარჯზე ჩვენ ვერ ვიქნებოდით, ამიტომ ეს გეგმა ითვალისწინებდა, რომ ე.ი. რუსი ე.წ. სამშვიდობოები გადაიწევდნენ მდინარე კოდორზე და ამ ზონაში შემდეგ დადგებოდა საერთაშორისო საპოლიციო ძალები, რომელშიც რუსებს მაშინაც მიეღოთ მონაწილეობა და გალში და ოჩამჩირეში გაკეთდებოდა თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომელზეც ძალიან ბევრი აქვთ ნამუშავები არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს და ეს არანაირად არ იყო იმის არც მცდელობა და არც მიზანი, რომ იქნებოდა გაყოფა, დავუშვათ, ეს, გალი და ოჩამჩირე ქართველებს და დანარჩენი რუსებს. ამაზე ლაპარაკი არ იყო, პირიქით.

თავმჯდომარე. ეს ჩვენი პაკეტი იყო, ხომ? ბატონო თემურ, ჩვენი შეთავაზებული?

თ.იაკობაშვილი. კი, ეს იყო ჩვენი შეთავაზება, რომ მოდით, საიდანღაც დავიწყოთ. დავიწყოთ იქიდან, რომ ჩვენ ამ

რეგიონში დავაბრუნებთ ლტოლვილებს, მათ უსაფრთხოებას ვუზრუნველვყობთ საერთაშორისო საპოლიციო ძალებით და ამის პარალელურად, შერიგების მექანიზმები თუ ნდობის აღდგენის მექანიზმები იქნება ვაჭრობა, რომელიც გამოიწვევდა აფხაზეთის დეიზოლაციას დანარჩენ საქართველოსთან მიმართებაში და საერთოდ და მთელი რიგი პროექტები იყო, გზის გაყვანა და ა.შ. სახმელეთო გზის გახსნა და ა.შ.

თავმჯდომარე. მე ხაზს გავუსვამ, იყო თუ არა ამ შეთავაზებაში მთავარი პუნქტი ის, რომ ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი არ ირღვეოდა?

თ.იაკობაშვილი. რა თქმა უნდა, იყო ის, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას არაფერი არ ეხებოდა. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი, ხაზგასმული და ლაპარაკი იმაზე, რომ რამე კომპრომისზე საქართველოს ხელმძღვანელობა წავიდოდა, ზედმეტია.

მე მინდა ეხლა, უბრალოდ, ისე მოგიყვეთ. როდესაც მე პირველად შევხვდი პრეზიდენტს, ამ თანამდებობასთან დაკავშირებით ვკითხე ჩემი მანდატის ფარგლები.

მან მითხრა, ტერიტორიული მთლიანობის თემა არის აბსოლუტურად ტაბუდადებული, ამაზე არავის არ ველაპარაკებით. იმის შიგნით, რაზეც გვინდა ველაპარაკო. ეს იყო ჩემი მანდატი, ეს არის ჩემი მანდატი. ამიტომ, საუბარი, საერთოდ, იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ვინმე ფიქრობდა ან გაყოფაზე ან რაღაცის გადაცემაზე და გადმოცემაზე, აბსოლუტურად ზედმეტია. უფრო მეტსაც გეტყვით, ჩვენ რაღაც ეტაპზე ვაყენებდით ერთი სოფლის საკითხსაც, რომელიც რუსეთმა დღეს მიითვისა, როგორც სოჭის ოლომპიადის ნაწილი. ეს სოფელი ორად იყო გაყოფილი ნაწილი იყო რუსეთის მხარეს, ნაწილი საქართველოს მხარეს და ეხლა მთლიანად, ასე ვთქვათ, მიიერთეს, თავიანთი აზრით, რუქები შეცვალეს და ჩვენ ამის დამამტკიცებელი .....

თავმჯდომარე. ეს ფსოუზეა საუბარი ....

თ.იაკობაშვილი. ხო, ფსოუზეა ლაპარაკი, ამაზეც კი ვდავობდით, ეხლა მე აღარ ვლაპარაკობ დანარჩენ საქართველოზე. ხო. რომ გავაგრძელოთ, ესე იგი, იყო დსთ–ს სანქციებიდან გამოსვლა, რომელსაც მოჰყვა მერე 16 აპრილის გადაწყვეტილება ცნობილი, როდესაც მათ პირდაპირი ურთიერთობები დაამყარეს და ჩვენ უკვე გვქონდა საკმაოდ სოლიდური საფუძველი გვეფიქრა იმისათვის, რომ რუსეთი რაღაც სერიოზულისთვის ემზადება, რასაც ჩვენი მხრიდან მოჰყვა დიპლომატიის გაათმაგება დასავლეთთან მიმართებაში და, ასე ვთქვათ, საკმაოდ ინტენსიური, ხშირ შემთხვევაში მათთვის შემაწუხებელი შეტევებიც, რომ რუსეთი ამზადებს საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიას. აგრესიული ფაქტები დადასტურდა, მერე ჩვენი უპილოტო საფრენი აპარატის ჩამოგდებით, რომელიც გადაღებულიცკი იქნა და რუსეთს ძალიან გაუჭირდა ამის უარყოფა, მაგრამ მოუწია ბოლო–ბოლო რაღაცა ფორმით აღიარება.

მინდა გითხრათ, რომ იქ, ხშირ შემთხვევაში, კომიკურ სიტუაციამდეც მიდიოდა, როდესაც ეუთოში მათ დაუდეს დოკუმენტები და უთხრეს, რომ ეს თვითმფრინავი არის არსუ–27 ან მიფ–30 თუ რაღაც არ მახსოვს 31 და რეგიონში სხვას არავის არ ჰყავს ესეთი თვითმფრინავები, რუსეთის წარმომადგენელმა განაცხადა: როგორ არა, გერმანიას ჰყავს ეგეთი თვითმფრინავებიო.

ნუ, ეს ყველაფერი ეხლა, რაღა თქმა უნდა, ლირიკაა, მაგრამ ფაქტია, რომ ესკალაცია იყო სახეზე, ფაქტია, რომ ჩვენ გვქონდა ყველა ნიშანი იმისა, რომ რუსეთი აპირებდა სერიოზულ სამხედრო კონფრონტაციას და ამას მოჰყვა აფხაზეთში რუსეთის მხრიდან, ეგრეთწოდებული, სამშვიდობოების რაოდენობის გაზრდა, რომლის ფორმა აშკარად მიანიშნებდა, რომ ეს არ იყვნენ სამშვიდობოები და რუსეთი ემზადებოდა სერიოზული აგრესიისთვის. შემოყვანილი იქნა სადესანტო ძალები, მინდა გითხრათ, რომ დოკუმენტის მიხედვით, რომლითაც განისაზღვრება სამშვიდობოების მანდატი, წერია, რომ იქ უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ქვეითი, ე.ი. შეიარაღება ძალიან განსაზღვრული, ძალიან ვიწრო მანდატით, რანაირი შეიარაღებით და რა რაოდენობით. როდესაც შემოდიან სადესანტო ჯარები, როდესაც შემოდიან, შემოაქვთ გაუბიცები დ–30, რომელიც 15 თუ 17 კილომეტრზე ისვრის, რაღა თქმა უნდა, ვერც ეს ძალები და ვერც ესეთი შეიარაღება ვერ იქნებოდა ათქმული, როგორც სამშვიდობო ოპერაციისთვის გამიზნული.

მინდა გითხრათ, რომ ჩვენ არაერთხელ მივმართეთ გაეროს, რომ მათ ჩაეტარებინათ მონიტორინგი ამ სამშვიდობო ძალებისა, ეგრეთწოდებულისა, მათი განთავსების ადგილები ბევრ შემთხვევაში დაუმალეს, ბევრ შემთხვევაში არ შეუშვეს გაეროს წარმომადგენლები, რაც მეტ–ნაკლებად აისახებოდა კიდევაც გაეროს რეზოლუციებში ან აისახებოდა გაეროს მოხსენებებში. მაგრამ ჩვენთვის იყო მთავარი არა რამდენი ფურცელი დაიწერებოდა გაეროში, არამედ რამდენად ეფექტურად იქნებოდა ეს გამოყენებული იმისათვის, რომ ეს შეგვეჩერებინა და სამწუხაროდ, ჩვენ ვხედავდით, რომ მიუხედავად გაეროს მიერ დადასტურებული თვითმფრინავის ჩამოგდებისა, სათანადო რეაქცია ამას არ მოჰყვა. ნუ, პროგრესი კი იყო, იმიტომ რომ მე მინდა შეგახსენოთ, როდესაც დაიბომბა კოდორი, მაშინ გაეროს დასკვნაში ეწერა, რომ უცნობი სამხედრო საფრენი ობიექტები შემოფრინდნენ ჩრდილოეთიდან, დაგვბომბეს და გაფრინდნენ ჩრდილოეთით. ჩრდილოეთით ვინ არის და როგორ არის, არაფერი მითითებული ამაზე არ იყო. ამ შემთხვევაში პირდაპირ იყო ლაპარაკი, რომ რუსეთის სამხედრო ავიაცია შემოფრინდა. მნიშვნელოვანი იყო ასევე ე.წ. სამშვიდობოების განლაგება, თუ სად განალაგეს ეს სამშვიდობოები,

რომელიც მიუთითებდა რომ მზადდებოდა სერიოზული სამხედრო პროვოკაცია, ძირითადად, კოდორის მიმართულებით. ამას ადასტურებდა კიდევ სხვა ბევრი მასალა, რომელიც, ალბათ, სპეცსამსახურების თემაა, რომ სერიოზული პროვოკაცია მზადდებოდა კოდორის მიმართულებით და იმ ეტაპზე ჩვენ უკვე ვხედავდით, რომ ესკალაცია მიდის სამი მიმართულებით, ანუ აფეთქება მოხდებოდა ან კოდორში ან გალში ან ცხინვალის რეგიონში. ამის შესახებ დეტალურად იქნენ ინფორმირებული ჩვენი დასავლელი პარტნიორები, მე მინდა ამას ხაზი გაუსვა, იმიტომ, რომ ჩვენ ხშირად გვდებენ ბრალს, რომ რატომ არ უთხარითო. კი არ ვუთხარით, ვეუბნებოდით ყოველდღე და მე მინდა ერთ–ერთი რეაქცია გავიხსენო. მაისის თვეში მე ჩავატარე პრესკონფერენცია ბრიუსელში და ვთქვი, რომ ჩვენ ძალიან ახლოსა ვართ ომთან, იმიტომ რომ ის რიტორიკა, რომელიც მიდიოდა რუსეთის მასმედიაში, ის სამზადისი, რომელიც იყო ადგილზე, ის ფაქტები, რომელიც ჩვენ გაგვაჩნდა ღიად და დახურული წყაროებიდან, ყველაფერი ამაზე მიუთითებდა. ჩვენთან მოვიდნენ და მითხრეს რომ ბატონო იაკობაშვილო, ამ ქალაქშიო სიტყვა "ომი" არ არის პოპულარულიო და ნუ ლაპარაკობთ, ნუ იძახით ომსო ბრიუსელშიო.

თავმჯდომარე. აი, მე მაშინ დავაზუსტებ, იმიტომ რომ თქვენ ძაან სწორად აღნიშნეთ ის, ვთქვათ, შეხებები ბრიუსელში, მაგრამ აი, საზოგადოებაში ასეთი განცდაა, და ჩვენ საგარეო საქმეთა მინისტრსაც დავუსვით ეს კითხვა, რომ, თითქოსდა, ჩვენი უცხოური პარტნიორები გვაფრთხილებდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ რუსული მხარე აპირებდა...და ვითომ ჩვენ პროვოკაციებზე არ უნდა წამოვგებულიყავით. იყო თუ არა ეს გაფრთხილებები...

თ.იაკობაშვილი. კი იყო, იყო გაფრთხილებები, უფრო სწორად, ვაფრთხილებდით ჩვენც, რომ რუსები აპირებდნენ ომს და ისინი გვეუბნებოდნენ, რომ პროვოკაციას ნუ წამოეგებით, ვიცით, რომ იძაბება სიტუაცია. და მე ერთ ეპიზოდსაც გავიხსენებ, საქართველოს ხელისუფლებამ სადღაც გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში მიიღო გადაწყვეტილება, მას მერე, რაც ჩვენ ვნახეთ ეს ეგრეთწოდებული "სამშვიდობო ძალები" და პრინციპში, ამას სხვანაირად ჰქვია სამხედრო პოტენციალის გაზრდა სამხედრო ოპერაციის განხორციელების მიზნით, ერთადერთი ინსტრუმენტი, რომელიც ჩვენ ხელში იმ დროისათვის იყო – რუსეთის სამშვიდობოების მანდატის შეჩერება, რაც მომავალში გაკეთდა, მაგრამ იმ მომენტში იყო გადაწტყვეტილება ასეთი, მინდა იცოდეს კომისიის წევრებმა, რომ ჩვენ შევწყვიტეთ რუსეთის სამშვიდობოების მანდატი. დასავლელმა პარტნიორებმა ჩვენმა, როგორც ევროპელებმა, ისე ამერიკელებმა, დაჟინებით გვთხოვეს, რომ ეს არ გაგვეკეთებინა, რათა არ გამოგვეწვია ესკალაცია. მე გულახდილად გეტყვით, რომ დღემდე დარწმუნებული არა ვარ, ჩვენ სწორი ვქენით თუ არა, რომ დავუჯერეთ მათ, მაგრამ, ნუ, ყოველ შემთხვევაში, რადგან ყველა მეგობარი გვეუბნებოდა, რომ თავი შეიკავეთ და, ეხლა ომის დაწყებაზე კი არ იყო ლაპარაკი, იყო ლაპარაკი, რომ ესენი არ არიან სამშვიდობოები, ესენი არიან უკვე საოკუპაციო ჯარები, იმიტომ, რომ შემოვიდნენ, არ გვკითხეს, შემოიტანეს ის, რაც არ უნდა შემოეტანათ, შემოვიდა ის სახეობა ჯარისა, რომელიც არ უნდა შემოსულიყო, და კიდევ სხვა რაღაცები იყო, რომ შეჰქონდათ და შეჰქონდათ უამრავი შეიარაღება და ტყვია-წამალი და ათასნაირი საარტირელიო სისტემები და ასე შემდეგ. ჰოდა, ეხლა ამ რეალობაში და ღიად აცხადებდნენ, სხვათა შორის, რომ მაისში დაიწყებდნენ ომს, იყო ასეთი განცხადებებიც. ამ რეალობაში ჩვენი მხრიდან უნდა ყოფილიყო ქმედებები, მაგრამ, ჩვენ დასავლელმა პარტნიორებმა და მეგობრებმა გვთხოვეს, რომ ამ ნაბიჯზე ნუ წახვალთ და ჩვენ მივხედავთ, იმიტომ, რომ მოდის ხანტი–მანსიისკის შეხვედრა, მოდის, რა ჰქვია, შეხვედრა დიდი რვიანის, და ამ საკითხებს დავაყენებთ. ეხლა არის ახალი პრეზიდენტი, ახალ პრეზიდენტთან ახალი ურთიერთობებია ასაგები, და რაღა თქმა უნდა, ნუ, როცა მეგობარი ერთი და იგივეს გვთხოვდა, დავუჯერეთ. მე ერთხელ საგაზეთო ინტერვიუშიც აღვნიშნე, რომ ყველა გვეუბნებოდა, რა არ უნდა გაგვეკეთებინა და ჩვენ ვეუბნებოდით, მაშინ რა გავაკეთოთ. ჰო, კარგი, აი დავუშვათ, არ გავალ, თქვენ გაცადეთ, ხანტი–მანსიისაში არაფერი არ მოხდა, დიდ რვიანზე არაფერი არ მოხდა, უფრო მეტიც, მოხდა ის, რომ რუსეთმა სარკინიგზო ჯარები შემოიყვანა. რაღა თქმა უნდა, ჩვენი მხრიდან იყო რეაქცია, რომ სარკინიგზო ჯარების შემოყვანა ნიშნავს ერთ რაღაცას. იქ არანაირი ეკონომიკური აქტივობა არ ხდება, რომ იყოს ლაპარაკი, რომ ამ სარკინიგზო ჯარებს აქვს რაღაც ეკონომიკური დანიშნულება... ნუ, გვიყვებოდნენ რაღაც ზღაპრებს, რომ, თურმე, ეს ყველაფერი ხდება ხრეშის გასატანად, რადგან იქ ოლიმპიადაა, ააშენონ მერე. ცოტა გადავუხვევ და მინდა გითხრათ, რომ ხრეშთან დაკავშირებით ჩვენმა უწყებამ და ასევე საგარეო საქმეთა სამინისტრომ და, პირველ რიგში, ბუნების დაცვის სამინისტრომ, საკმაოდ ეფექტური კამპანია წამოიწყო, რომ გვენახებინა პირველ რიგში აფხაზებისთვის, სეპარატისტ აფხაზებისთვის და მერე დანარჩენი მსოფლიოსთვის, რომ ეს გეგმები თუ შესრულდებოდა, ეს იქნებოდა ეკოლოგიური კატასატროფა მთლიანად აფხაზეთისა, იმიტომ, რომ ფიზიკურად, რომ წარმოვიდგინოთ ის რაოდენობა ხრეში, რომელიც უნდა გაეტანათ მათ, ესენი ზღვიდან ვერ გაიტანენ,– ლაპარაკია მდინარის ნაპირებიდან, ეს იქნებოდა სრული კოლაფსი სასაზღვრო ზოლისა, რომელიც კომუნისტების დროს ხელოვნურად იქნა შენარჩუნებული და ბევრი მილიონი რუბლი მაშინ დაიხარჯა, ანუ ეს კიდევ ერთი ცალკე პრობლემა იყო ეს ყველაფერი. და როცა ყვებოდნენ იმას, რომ რკინიგზის აღდგენა ხდება სამხედროების მეშვეობით იმიტომ, რომ ხრეში გაიტანონ, ნუ, ცოტა სასაცილო იყო. ანუ ეს პარალელური პროცესია, როდესაც იწყება, ესე იგი, ყველანაირი სამზადისები და, ნუ, თქვენ მოგვიანებით, იცით, რომ ეს რკინიგზა მშვენივრად გამოიყენეს იქ დესანტის გადასასხმელად და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. და ეს ყველაფერი ხდებოდა კოდორის მიმართულებით. ძირითადად ეს ყველაფერი იყო კოდორისკენ. რა თქმა უნდა, საქართველოს ხელმძღვანელობა ემზადებოდა მოსაგერიებლად მაგრამ ჩვენი პირველი ინსტრუმენტი იყო მაინც დიპლომატია და ის, რომ, ჩვენ შეგვეჩერებინა სიტუაციის ესკალაცია საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართვის მეშვეობით.

თავმჯდომარე. ბატონო თემურ, თქვენი ინფორმაცია ძაან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრმა თქვა, რომ ჩვენი უცხოელი პარტნიორები არ გვაფრთხილებდნენ ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენთვის ძალიან, მასშტაბებთან დაკავშირებითო, ძაან მნიშვნელოვანია, რომ თქვენ გვითხრათ, ვთქვათ, ის განწყობები, რა განწყობებიც იყო. და მაშინ მე მინდა, ერთი საკითხი დავაზუსტო, რომ თქვენ უშიშროების

საბჭოს სხდომაზე გააკეთეთ თუ არა მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით, ვთქვათ, როგორ იძაბებოდა სიტუაცია და რა ღონისძიებები ტარდებოდა, განსაკუთრებით კი, უცხოელი პარტნიორების პოზიცია, რაც თქვენ დღეს მოგვახსენეთ, ეს უშიშროების საბჭოზე იყო თუ არა ნათქვამი და, თქვენი აზრით, როგორც მთავრობის წევრმა, მთავრობის სხდომები იყო ღია, და მთავრობას, საქართველოს მთავრობას არ განუხილია, ამ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა არ ჰქონია. თქვენი აზრი მაინტერესებს, რატომ არ იყო ამ საკითხთან დაკავშირებით, ალბათ, თუ სხვა რეჟიმში იყო. და ბატონ გაბაშვილს, ვთხოვ კიდევ, ერთ კითხვას დაამატებს .

გ.გაბაშვილი. ბატონო თემურ, თქვენც აღნიშნეთ და... მე არ ვესწრებოდი იმ სხდომას, მაგრამ ...

თავმჯდომარე. გვარი დავაფიქსიროთ.

გ.გაბაშვილი. რომ დაახლოებით წინა პერიოდში ასეთი ვითარება იყო, რომ თქვენ აფრთხილებდით ყველა ჩვენს საერთაშორისო მოკავშირეს, რომ სიტუაცია იმდენად იძაბება, რომ შეიძლება გაყინული სტატუსი დაკარგოს კონფლიქტმა და იყო ასეთი, ვთქვათ, სტანდარტული ინსტრუქცია ყველა ჩვენი მოკავშირის დიპლომატიურ წარმომადგენლობებში, რომ ჩვენ გვირჩევდნენ, რომ, ვთქვათ, არ ავყვეთ პროვოკაციას. გქონდათ თუ არა თქვენ ჩვენს მოკავშირეებთან, და მე ვიცი, რომ საგარეო საქმეთა მინისტრს ჰკითხეს ეს, ჩვენს მოკავშირეებთან საუბარი იმის შესახებ, აფიქსირებდით თუ არა თქვენ რაღაც გარკვეულ წითელ ხაზებს. რისი, რისი გადაკვეთის შემთხვევაშიც ჩვენ იძულებულები ვიქნებოდით, რომ დაგვეცვა თავი და თავად მათ, თქვენი შთაბეჭდილება მაინტერესებს, ესმოდათ თუ არა, რომ ჩვენ გაგვაჩნია რაღაც წითელი ხაზები, რომლის გადმოკვეთა არის შეუძლებელი, მიუხედავად იმისა, რომ იგივე სარკინიგზო ჯარების ან სადესანტო ჯარების შემოყვანის მომენტში, ჩვენ დავუჯერეთ ამ რჩევას და აღარ გავეცით პასუხი.

თ.იაკობაშვილი. ზუსტად მე შემიძლია, ღიად არა, მაგრამ დახურულ სხდომაზე გითხრათ, ვისთან და როგორ იყო ეს საუბრები. მაგრამ მინდა ცალსახად დავადასტურო ...

თავმჯდომარე. ბატონო თემურ, ის საკითხები, რომელიც თქვენ თვლით, რომ დახურულია, ჩვენ შეგვიძლია ბოლოს მოვიტოვოთ და დავხუროთ.

თ.იაკობაშვილი. მე შემიძლია გითხრათ ცალსახად, რომ ეს საკითხები დასმული იქნა წითელ ხაზებთან დაკავშირებით. ჩვენ რამოდენიმეჯერ ვუთხარით, რამოდენიმე პარტნიორს, რომ თუ მოხდებოდა ქართული მოსახლეობის დარბევა გალში, თუ მოხდებოდა მასობრივი დარბევა, თუ მოხდებოდა იმ რაოდენობის სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების კონცენტრაცია, რომელიც უკვე აშკარად მიანიშნებდა სამხედრო კონფრონტაციას, თუ მოხდებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პირდაპირი ხელყოფა სამხედრო ინტერვენციით, ინტერვენციის გზით, ეს იქნებოდა, დავუშვათ, კოდორში თუ სხვაგან, მაშინ საქართველოს ხელისუფლებას უნდა მიეღო ადეკვატური ზომები იმიტომ, რომ ეს იმ რანგის პროვოკაციები ... რომლებიც, რომელზე რეაგირებაც არც ერთ სახელმწიფოს მთავრობას არ ეპატიებოდა. როდესაც შენს მშვიდობიან მოსახლეობას არბევენ ან როდესაც უკვე იმ რაოდენობის იარაღია და ისეთი აგრესია ხორციელდება, რომელიც მიანიშნებს იმას, რომ ქვეყნის დაპყრობაზეა ლაპარაკი, რაღა თქმა უნდა, რეაგირება უნდა ყოფილიყო. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი დასავლელი კოლეგებისაგან იყო თანხმობა და გაგება და იძახდნენ, რომ, კი, თუ აი ესე მოხდა, მაშინ, რაღა თქმა უნდა, თქვენ უნდა რეაგირება მოახდინოთ ამ ავქმედებებზე, ოღონდ მაქსიმალურად ჩვენ ჩაგვაყენეთ საქმის კურში, როგორ, რანაირად და ა.შ.

რაც შეეხება უშიშროების საბჭოს სხდომაზე, კანონმდებლობის მიხედვით მე არა ვარ უშიშროების საბჭოს წევრი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, მიწვეული ვიყავი ხოლმე იმიტომ, რომ ჩართული ვიყავი ამ პროცესში და მინდა გითხრათ, რომ უშიშროების საბჭოზე ჩვენ დეტალურად ვიხილავდით ხოლმე ამ საკითხებს. პრეზიდენტის მხრიდან იყო პირდაპირი დავალებები, რომ ყველანაირად კონფრონტაცია ავირიდოთ თავიდან და მაქსიმალურად ვიმუშაოთ საერთაშორისო თანამეგობრობასთან იმისათვის, რომ მათი ინფორმირებულობა მოხდეს დეტალურად.

მე მინდა გითხრათ, რომ მოყოლებული, სადღაც აპრილიდან, დატალური ინფორმირებულობა და გაცვლა აზრთა სხვადასხვაობისა, ხდებოდა ლამის ყოველ დღე სხვადასხვა უწყების, ჩემგან იქნებოდა, იქნებოდა თავდაცვიდან, იქნებოდა ეს შინაგან საქმეთა სამინისტროდან თუ საგარეოდან, როგორც მინიმუმ, აქ არსებული დიპლომატიური წარმომადგენლობების მხრივ და როგორც მაქსიმუმ, უკვე უშუალოდ სახელმწიფოს ლიდერებთან ურთიერთობის გზით. არაერთი ფორუმები გაიმართა ამასთან დაკავშირებით, არაერთი შეხვედრები გაიმართა ამასთან დაკავშირებით და იმასაც დავამატებ, რომ ის, რომ შემდეგში უკვე გაჩნდა ღია სურვილი ევროკავშირის ჩართვისა და ევროკავშირი გამოვიდა ინიციატივით, რომ, მოდი, მოხდეს შეხვედრა ცხინვალის სეპარატისტულ ხელმძღვანელებთან, შტაინმაიერის გეგმა, ეუთოს სურვილი, რომ გამართულიყო მოლაპარაკებები სეპარატისტებთან, მანამდე შეხვედრა აფხაზ სეპარატისტებთან შვედეთში, ყველაფერი ეს იყო ჩვენი მხრიდან ინიცირებული პროცესები. ანუ ეს დასავლეთმა თავისით კი არ მოიტანა, ეს იყო ჩვენი მხრიდან, ეს ალარმისტული განწყობებით და ყველაფრით ინიცირებული პროცესები.

ამის გარდა, ჩვენ ვიყენებდით, პრინციპში, ყველა ჩვენს ხელთ არსებულ მექანიზმს, მათ შორის, როდესაც აფხაზებმა ითხოვეს, რომ ალასანია ჩამოვიდეს და დაველაპარაკებითო, უარი არ გვითქვამს და ჩავიდა და მინდა გითხრათ, რომ ჟენევაში, ჟენევაში კი არა, უკაცრავად, შვედეთში შეხვედრის დროს, ნუ, ალბათ, დიდ საიდუმლოებას არ ვიტყვი, ყველაფერზე, რაზეც ალასანიასთან გვქონდა საუბარი, ყველაფერზე, აფხაზებმა უარი თქვეს და შტაინმაიერის გეგმის, რომელიც, პრინციპში, იყო ორფურცლიანი გეგმა, იმაზე თქვეს, რომ შეხვედრა უნდა ყოფილიყო ივლისის ბოლოს, თქვეს, რომ, არა, ჩვენ ორი კვირა გვჭირდება, რომ დოკუმენტი შევისწავლოთო, ორფურცლიანი დოკუმენტი და მერე შემოგვითვალეს, 15 აგვისტოს მერე შევხვდეთო.

მე წამოღებული მაქვს დოკუმენტი, როდესაც ჩოჩიევმა უარი განაცხადა 6 რიცხვში შეხვედრაზე, წერილი მოიწერა, რომ არ შევხვდებითო ქართველებსო ანუ ყველა ჩვენი მცდელობა, რომ გავსულიყავით პირდაპირ სეპარატისტებზე, გველაპარაკა რუსეთთან და ამაზე მინდა ცალკე გითხრათ, რომ მე ვიყავი ორჯერ ჩასული რუსეთში, მქონდა შეხვედრა იქ ხელისუფლების წარმომადგენლებთან. მეორედ რუსეთში მე უკვე მქონდა შეხვედრა არასამთავრობო ისეთი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებიც პრინციპში ცდილობდნენ გავლენა ექონიათ საგარეო პოლიტიკაზე და იქ არ არიან ეხლა, ასე ვთქვათ, კლასიკური გაგებით არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ესენი არიან საკმაოდ გავლენიანი ხალხი. ჩვენ ვეძებდით ყველა გზას, რომ რუსეთთან ან პირდაპირ ან არაპირდაპირ რამენაირ ხელშეკრულებაზე მივსულიყავით იმისათვის, რომ სამხედრო კონფრონტაცია აგვერიდებინა თავიდან. დასავლელებსაც ძალიან უჭირდათ, იმიტომ, რომ ისინი მიდიოდნენ კლასიკური გზით და ელაპარაკებოდნენ ლავროვს, რომ მერე, პრინციპში, გვეთანხმებოდნენ, რომ ლავროვი ვერ წყვიტავს ამ თემებს.

როცა პრეზიდენტი გახდა მედვედევი, მედვედევთანაც არაერთი კონტაქტი იყო, მაგრამ, როგორც ომის მსვლელობამაც დაგვანახა, პრინციპში, გადაწყვეტილებებს რუსეთში იღებდა ერთი კაცი და ერთი უწყება და ეს არ იყო არც პრეზიდენტი და არც საგარეო საქმეთა მინისტრი და არც საგარეო საქმეთა სამინისტრო. ეს უკვე ინსტიტუციური პრობლემაა, რომელსაც ჩვენ შევეჯახეთ და ჩვენი დასავლელი პარტნიორები შეეჯახნენ იმიტომ, რომ .....ისინი ელაპარაკებოდნენ რუსეთის პრეზიდენტს. სხვა შემთხვევაში ელაპარაკებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრს, რაც, პრინციპში, ნორმალურია, მაგრამ, შედეგამდე, რა თქმა უნდა, ამას ვერ მივყავდით.

სადღაც ზაფხულში დაიწყო ესკალაცია უშუალოდ ცხინვალის რეგიონში და ჩვენმა უწყებამ გააკეთა განცხადება უკვე 14 ივლისს. მე შემიძლია წაგიკითხოთ ეს განცხადება თუ გაინტერესებთ, იმიტომ, რომ იქ უკვე წერია, რომ ხდება ისეთი პროცესები, რომლებიც ითხოვენ ძალიან სერიოზულ ყურადღებას. ანუ მე არ ვლაპარაკობ მარტო იმ საუბრებზე, რომლებიც ჩვენ გვქონდა დასავლელ პარტნიორებთან. მიმოწერა არსებობს, განცხადებები არსებობს იმისათვის, რომ რომლიც ერთ ენაზე კი არა, სამ ენაზე გამოდიოდა,

თავმჯდომარე. ჩვენ გთხოვთ, ბატონო თემურ, რომ გადმოგვცეთ ეს მასალები, იმიტომ,რომ დასკვნის ნაწილში რომ ავსახოთ ყველაფერი, ეს უკვე ოქმისათვის, რომ ოქმში ჩავწეროთ, რომ შემდგომში ის, რაც თქვენ ჩათვლით, ანუ,...

თ.იაკობაშვილი. რაზეც მე ვსაუბრობ ეხლა ამის ძალიან დიდი ნაწილი არის დოკუმენტირებული, ეს არ არის უბრალოდ ეხლა ეს ჩემი მონათხრობი, მეც ამოვიღე ეს ყველაფერი, გარდა იმისა, რომ გავიხსენე ასევე დოკუმენტებიდან, და 14 ივნისს უკვე ჩვენ გავაკეთეთ განცხადება, რომელიც უკავშირდებოდა სიტუაციის ესკალაციას ხსენებულ რეგიონში. იცით, რომ იყო უკვე იქ თავდასხმები, ესკალაცია დაიწყო 11 ივნისს, როდესაც იყო სროლები და აფეთქებები. 13 ივნისს ნაღმზე აფეთქდა უკვე მშვიდობიანი მოქალაქე. 14 ივნისს კიდევ აფეთქდა ნაღმზე მშვიდობიანი მოქალაქე. ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს ერგნეთსა და ნიქოზს , მე ვლაპარაკობ, ეს ყველაფერი ხდება 14 ივნისს ანუ აგვისტომდე რაც არის ეს ყველაფერი მოსული, ხომ, და მთელი რიგი ინციდენტები იყო ისეთი, რომლებზეც სათანადო რეაგირება ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ისე, რომ მიდიოდა გაეროს, ეუთოს, უკაცრავად, დამკვირვებელთა მისია. ეს ის პერიოდია, როცა ჩვენ მოვითხოვეთ ოფიციალურად ეუთოს სამხედრო დამკვირვებლების რაოდენობის გაზრდა, რაზეც უარი მივიღეთ სეპარატისტების მხრიდან. ჩვენ ვთქვით, რომ აუცილებელია გაკონტროლდეს დიდი გუფთა. იმიტომ, რომ დიდი გუფთიდან შემოედინება და დიდი გუფთის ხიდი, ცნობილი, შემოედინებოდა უამრავი რაოდენობის შეიარაღება და მე არ ვიცი ზუსტად რა მოხდა, მაგრამ ესეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ რაღაც მომენტში რუსეთში გადაწყვიტეს, რომ პროვოკაცია განეხორციელებინათ ცხინვალის რეგიონში და არა ზემო აფხაზეთში.

ეხლა, მე შემიძლია ჩემი მოსაზრება გითხრათ ამასთან დაკავშირებით, ალბათ, ეს იმიტომ გააკეთეს, რომ ცდილობდნენ რაღაცნაირი მორალური სარჩული მოეფიქრებინათ ამ ქმედებისთვის. ისინი თუ დაარტყამდნენ ზემო აფხაზეთს, რა უნდა ეთქვათ, რა, რა მოხდა, რატომ დაარტყეს და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში მიზანმიმართული მედიაკამპანია იყო, უბრალოდ, ჩანდა უკვე ომის წინა დღეებში და შემდეგ პერიოდში იყო ლაპარაკი ქართველების მხირიდან ოსების გენოციდზე. სხვათა შორის, ეხლა დაანებეს თავი ამაზე ლაპარაკს. იმიტომ, რომ ვერაფრით ვერ დაამტკიცეს და ყველამ დაინახა, რომ არანაირი გენოციდი არ ყოფილა, არანაირი გენოციდის მცდელობაც არ ყოფილა, უფრო მეტს გეტყვით, ომის დღეებში და შემდეგ დღეებში ჩემს მოადგილეს ვთხოვე ქალბატონ ელენე თევდორაძეს, რომ წასულიყო დანარჩენი საქართველოს ოსურ სოფლებში და ენახა იქ რა ხდებოდა და აბსოლუტური სიწყნარე იყო. რომელ გენოციდზეა ლაპარაკი? თუ გენოციდზეა, ერთი ერი უნდა გაჟლიტო, ხო? და თუ არ ერჩი დანარჩენ ოსურ მოსახლეობას და მათ სკოლებს, მაინცადამაინც იმას რატომ ერჩი, ხო? ანუ უკვე 14 ივნისს ავტეხეთ ჩვენ განგაში და ვაკეთებდით ჩვენ საჯარო განცხადებებს ამასთან დაკავშირებით.

მინდა გითხრათ, რომ დოკუმენტი ჩაგვივარდა ხელში, რომელსაც დახურულ შეხვედრაზე განახებთ, რომელიც ძალიან საინტერესო დოკუმენტია, რუსული დოკუმენტია, რომელიც, რა თქმა უნდა, ჩვენ გადავეცით ვისთვისაც საჭირო იყო, რომელიც უკვე მიანიშნებდა ამაზე, რომ ესკალაცია ამ მიმართულებითაც იგეგმება. ხო, ეს დოკუმენტი მაისშია შექმნილი. ამის შემდეგ ე.ი. პირველში ნუ ,მანამდე იყო სანაკოევზე თავდასხმა, მანამდე იყო ე.ი. შემოვლით გზაზე 5 ქართველი პოლიციელის მანქანის აფეთქება, იყო მონიტორინგზე თავდასხმა, ეუთოს მონიტორინგზე თავდასხმა, რომელიც, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ასახულია და დოკუმენტირებულია და პირველი ივნისიდან იწყება აბსოლუტურად სხვა პროცესი, ანუ ხდება ისე ,რომ აფხაზები და ოსებიც ყველანაირად ჭრიან მოლაპარაკებების გზებს, იგონებენ, რომ ან სახელი არ მოსწონთ რეინტეგრაცია. იმისათვის, რომ რაღაცნაირად შეგვენარჩუნებინა მოქნილობა, პრეზიდენტის განკარგულებით, მე მომენიჭა მეორე სტატუსი სპეციალური წარმომადგენელი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში და ვეუბნებოდით, კი, ბატონო, თუ არ გინდათ რეინტეგრაციის უწყებასთან ლაპარაკი, აი, სპეცწარმომადგენელთან ილაპარაკონ. იყო კოკოითის წერილი, რომ შევხვდეთ სააკაშვილს, რომ ჩვენ ვუთხარით, კი,ბატონო, მოვამზადოთ ეს შეხვედრა და რატომაც არა, ეს შეხვედრაც ჩავატაროთ. ანუ ყველანაირად ცდილობდნენ, რომ თავი აერიდებინათ შეხვედრისთვის, მოლაპარაკებისთვის. საკმაოდ ხისტი პოზიციები ჰქონდათ აფხაზებს უკვე შვედეთში შეხვედრაზე, არაფრის გაგონებაც არ უნდოდათ არანაირი, რაღაც ვარიანტის განხილვისა და აშკარა მცდელობა იყო იმისა, რომ გაეჭიმათ დრო და რაღაცა გადაეტანათ. 1–ში და 2–ში მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი ესკალაცია კონფლიქტისა, უშუალოდ ცხინვალის რეგიონში, თქვენ იცით, მანამდე დაიწყეს მათ მოსახლეობის ევაკუაცია. ევაკუაციას რაც შეეხება, ძალიან საინტერესო ტენდენცია გამოჩნდა, ისინი ყოველ წელს გზავნიდნენ ხოლმე ბავშვებს ვლადიკავკაზში დასასვენებლად და როდესაც კოკოითმა დაიწყო ევაკუაცია, იქ სადღაც 400–მდე ქალი და ბავშვი გაიყვანეს, ამას მიეცა სარჩული, რომ ეს არის ქართველების მხრიდან მომავალი საფრთხის გამო. რამდენადაც ამ ბავშვების გაყვანას ასეთი ინტერპრეტაცია მიეცა, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ეს იყო იმის სიგნალი, რომ რაღაც სერიოზულ პრობლემებთან გვქონდა საქმე, ჩვენ გავააქტიურეთ ჩვენი ურთიერთობები რუსეთთან, დაჟინებით ვთხოვდით რომ შემდგარიყო შეხვედრა, რათა ჩვენ ეს ყველა პრობლემები გაგვეხილა. მთელი რიგი მიმოწერები იყო ბატონ პოპოვთან, რომელიც ამ შემთხვევაში იყო ჩვენი პარტნიორი და 1–ში და 2–ში განსხვავებული მოვლენები ხდებოდა და ეს განსხვავებული მოვლენები იყო ის, რომ დაიწყეს ქართული და შერეული სოფლების დაბომბვა, მსხვილკალიბრიანი არტილერიიდან.

თავმჯდომარე. 1 და 2 აგვისტოს, ხომ?

თ.იაკობაშვილი. კი, 1 აგვისტოს არის საუბარი. მანამდეც იყო ხოლმე ერთეული შემთხვევები, მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს იყო მასირებული დაბომბვა იმ ტიპის შეიარაღების გამოყენებით, რომელიც საერთოდ არ უნდა ყოფილიყო კონფლიქტის ზონაში.

თავმჯდომარე. ბატონო თემურ, რა დოკუმენტში არის ეს დადასტურებული?

თ.იაკობაშვილი.ეს დადასტურებულია, რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა მოგეჩვენოთ თვითონ კულახმეტოვის მიერ მოწერილ წერილში, რომლის ასლიც თან გვაქვს.

თავმჯდომარე. ჩვენ გვაქვს, ხომ?

თ.იაკობაშვილი. სადაც ჩამოთვლილია ყველა ის სოფელი, რომელიც იბომბებოდა და რა ტიპის იარაღით იბომბებოდა. აი, როდესაც ეხლა საუბარია ხოლმე, რომ ცხინვალი დაიბომბა და ქართველებმა დაბომბეს "გრადით" და ა. შ. .

თავმჯდომარე. იმიტომ, რომ დავაზუსტოთ კულახმეტოვის წერილი როდისაა, აი ეს ძაან მნიშვნელოვანია ,რომელი რიცხვითაა.

თ.იაკობაშვილი. თქვენის ნებართვით წავიკითხავ, რუსულად არის, უკაცრავად, წერილი არის 4 აგვისტოთი დათარიღებული და წერია: Довожу до вашего сведения что со 2-го по 3 августа 2008 года ჩაატარეს მონიტორინგი, თუ რა ხდებოდა 1–ში და 2–ში. В Земо Никози на фасадах трех домов отмечены следы попадания пуль различного каллибра, в крышах пробойны და ა.შ. 82 მმ–იანი ნაღმებია. ქვემო ნიქოზში გამოყენებულია ასევე მძიმე შეიარაღება და 8 ადამიანია დაჭრილი, ნულში, ერედვში, ზემო ფრიზში დაფიქსირებულია 82 მმ–იანი ნაღმტყორცნით დაზიანებები.

თავმჯდომარე. თარიღები მითითებული აქვს თუ როდის? 4–ში?

თ.იაკობაშვილი. არა, ეს არის 1–ლი და 2. მერე, ე.ი. დაფიქსირებულია 120 და 100 მმ–იანი ჭურვების გამოყენება ანუ ეხლა ჩამოთვლილი ადგილები ქვემო ნიქოზი, ნული, ერედვი, ფრისი, ნუ, ხო, ყველა ჩამოთვლილი...

თავმჯდომარე.ამ წერილში ადანაშაულებს რუსულ მხარეს?

თ.იაკობაშვილი. ნუ, იძახის, რომ ორივე მხარემ უნდა თავი შეიკავოს...

თავმჯდომარე. ქართულ სოფლებს ეხლა ქართველები არ ესროდნენ და ამიტომ ფაქტიურად, ფაქტი ჩანს.

თ.იაკობაშვილი. მოგეხსენებათ, ხომ?! ამის მერე ე.ი. როდესაც ვხედავთ, რომ სიტუაცია იძაბება, მე 4–ში ჩავედი კონფლიქტურ ზონაში, პირველად მაშინ შევხვდი მე კულახმეტოვს და ვუთხარი, რომ სიტუაცია უკვე, რაღაც ისეთ განვითარებაში შედის, რომ ამან შეიძლება მიიღოს სერიოზული დაპირისპირების სახე და იქნებ, როგორმე ეს შევაჩეროთ. ამავე დროს მე ჩავედი იმ სოფლებში, რომელიც იბომბებოდა, მინდა გითხრათ, რომ ახლა სახლი, რომელიც დგას შუანიქოზში და იქ არანაირი არც სამხედრო, არც საპოლიციო, არც სამშვიდობო, არანაირი პოსტი არ ყოფილა, ის სახლია დაბომბილი. ქალი, რომელმაც გამოასწრო რამოდენიმე წამით ჭურვს, რომელიც მის საწოლს დაეცა,.... ნიქოზის ეკლესია, გასაგებია, რომ იქ არანაირი შეიარაღება არ არის. ანუ იბომბებოდა მშვიდობიანი მოსახლეობა, რაც იყო მიზანმიმართული პროვოკაცია, ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც იქით მერე სასაფლაოსთან ავედით, რომლიდანაც ძაან კარგად ჩანს ცხინვალის ტერიტორია, იქ ...

თავმჯდომარე. თუ შეიძლება დავაზუსტოთ, რომელი რიცხვია...

თ.იაკობაშვილი. 4, ეს არის 4 აგვისტო. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ე.ი. ჭურვების ტრაექტორია, იქ იყო რამოდენიმე ე.ი. აუფეთქებელი ჭურვი და აშკარად ჩანდა, რომ ეს ჭურვები იყო ნასროლი რუსეთის სამხედრო ბაზის გვერდიდან ან ბაზიდან, ნუ უკეთეს შემთხვევაში იფიქრებდით, რომ ეს იყო გვერდიდან და არა უშუალოდ ბაზიდან.

თავმჯდომარე. დაზუსტებისთვის. სამშვიდობოების ბაზიდან? რუსების?...

თ.იაკობაშვილი. რუსები ოფიციალურად არ იყვნენ. 5–ში, მე მინდა ამას ხაზი გავუსვა, ჩვენ ჩავიყვანეთ ელჩები, საქართველოში აკრედიტირებული ... წარმომადგენლები, ჩავიყვანეთ ჩვენ კონფლიქტის ზონაში და ვუთხარით, რომ ძალიან სერიოზულ პროვოკაციას აქვს ადგილი და რამე ქენით. ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ არავის არ ვუთხარით, დავმალეთ, არ ვაცნობეთ. 5–ში ,მე მგონი,რა ვიცი, შეიძლება ამოღება ტელემასალისა, სხვათა შორის, რუსეთის ელჩიც იყო იქა, დიპკორპუსი გვყავდა ჩვენ იქ ჩაყვანილი, 4–ში ჟურნალისტები ჩავიყვანეთ და გადავაღებინეთ ეს ყველაფერი და ყველანაირი მეთოდებით ვცდილობდით, არა მარტო ქართული, არამედ საერთაშორისო პრესის ყურადღების მიპყრობას, რომ სიტუაცია ვითარდება, ძალიან სასწრაფო ჩარევას საჭიროებს, იმიტომ რომ ცუდი რაღაცეები ხდება. 6 რიცხვში ჩვენ მივიღეთ წერილი ბატონი ჩოჩიევისაგან, რომელიც პირდაპირ უარს აცხადებს საქართველოსთან შეხვედრაზე, აი, значит резко обострилась ситуация .... часть .....

что предложение грузинской стороны о проведении двухсторонней встречи является неприемлемым. ეს არის 6 რიცხვის წერილი, ჩოჩიევის ხელმოწერით, რომელიც უარს ამბობს შეხვედრაზე და ხდება რაღაც გადაწევა იქით, მერე ვილაპარაკოთ.

თავმჯდომარე.აი ის დავაზუსტოთ მაინც, კულახმეტოვი, აი, თქვენს წინადადებებზე რომ გავაჩეროთ, შევაჩეროთ, ამბობდა თუ არა პირდაპირ, რომ რუსულ მხარეს არ შეუძლია ...

თ.იაკობაშვილი. აი, მაგაზე მივალ, იმიტომ რომ ახლა ნელ–ნელა მივყვებით. ჩამოვიდა პოპოვი, ე.ი. ჩვენი თხოვნით, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ეს შეხვედრა, რომ შემდგომ არა ტელევიზიაში, შემიძლია განახოთ პოპოვთან საუბრის ჩანაწერი, გასაგებია, რომ ყველას შეხვედრას ჩვენ დოკუმენტურად აღვრიცხავთ, და მისი პოზიციები, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, რომ თვითონ არ იციან ბოლომდე, ეს არის კოკოითის ეგრეთ წოდებული "სამადეიტელნოსტ" თუ უფრო რაღაც სერიოზული. საერთოდ ასეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო საერთოდ ძალიან ნაკლებად იყო ჩართული ინფორმაციის თვალსაზრისით იმაზე, თუ როგორ ვითარდებოდა, რანაირად ვითარდებოდა. მინდა გითხრათ, რომ კოკოითმა პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ პოპოვი ნუ ჩამოვაო ცხინვალში იმიტომ, რომ მის უსაფრთხოებას ვერ უზრუნველვყოფთო და მიუხედავად ამ ყველაფრისა რადგანაც სიტუაცია ძალიან იძაბებოდა, პრეზიდენტმა მითხრა , რომ მაინც ჩადი. უკვე იყო ინფორმაცია, რომ შემოდიოდა სატანკო კოლონა და როკის გვირაბში იყო ძალიან დიდი რაოდენობით კონცენტრირებული შეიარაღება რუსეთის ფედერაციისა ჩრდილოეთ–კავკასიაში, ალბათ, ნანახიც გვექნება ის ლიფლეტი, რომელსაც ავრცელებენ რუსულ ჯარებში "знать своего противника", რომელშიც იყო საქართველოზე ლაპარაკი. ეს იყო სტამბური წესით დაბეჭდილი ლიფლეტი. ეს ყველაფერი ჩვენ დასავლელ მეგობრებს მივაწოდეთ. როგორც კი ხელში გვივარდებოდა ესეთი, რა თქმა უნდა, ვაწოდებდით და მცდელობა, რომ მომხდარიყო შეხვედრა ,ესე იგი, და რაღაცაზე მოლაპარაკება. მე ცხინვალში ჩემს, ჩვენი უწყების რამოდენიმე წარმომადგენელთან ერთად წავედი 7–ში, ჩავედით ,ესე ,სადღაც, შუა დღის 3–ის ნახევარზე, თუ 3–ზე, და მინდა გითხრათ, რომ იყო ძალიან უცნაური სურათი, როდესაც მთლიანად ცხინვალი იყო დაცარიელებული და მე არ ვიცი, მოსახლეობა სახლში იყო თუ სარდაფში.

დავაზუსტოთ, თქვენ ცხინვალში შეხვედით.

თ.იაკობაშვილი. უშუალოდ ცხინვალში, ჩვენი შეხვედრა შედგა კულახმეტოვთან, რუსეთის შტაბ–ბინაში

სამშვიდობოების შტაბ–ბინაში.

თავმჯდომარე.მე ამას იმიტომ ვაზუსტებ, რომ აი 7–
ში, თქვენი გადაადგილებისას ცხინვალამდე საქართველოს შეიარაღებული ძალები იქ არ იმყოფებოდნენ, როგორც მე ვიცი.

თ.იაკობაშვილი. შეიარაღებული ძალები იქ იყო მხოლოდ ის, ... რაც იყო და იმისათვის, რომ ჩვენ, ესე იგი, შეგვეკავებინა, იყო რაღაც ნაწილები გადასროლილი მარა ცხინვალში და ცხინვალის მისადგომებთან არავინ არ იდგა.

თავმჯდომარე.დიახ, ამას .....

თ.იაკობაშვილი. ჩვენი ჯარები იქ არ იყო, იყო ცხინვალთან არა , ეხლა ეს არის ერგნეთი, ერგნეთშიც, ჩვენი პოსტი, რომელიც იყო მანამდე ,ესე იგი, ეს პოსტიც, იყო ძალიან შემცირებული ფორმით ანუ არ იყო იქ ეხლა ჯარები მეორე მხარეს, მინდა გითხრათ , რომ ცხინვალი იყო აბსოლუტურად ცარიელი. დღემდე ვნანობ, რომ არ გადავიღე ეს ყველაფერი იმაზე, ტელეფონით მაინც. ქუჩაში არ იყო არც მანქანა, არც ადამიანი, არავინ არ დადიოდა ქუჩაში და ძაან გასაკვირიც იყო და ვეკითხებოდით, რომ რაშია საქმე? კულახმეტოვს, რა თქმა უნდა.

კულახმეტოვთან საუბარი, მოკლედ რომ მოგიყვეთ, იყო ასეთი, რომ სიტუაცია ძალიან დაძაბულია. ვეუბნები, რომ შეაჩერეთ იმიტომ, რომ ეს უკვე, კონფრონტაცია სხვა ხარისხისაა იმიტომ, რომ იბომბება სოფლები, იბომბება უკვე ისეთი არტილერიით, რომელიც არ უნდა იყოს.

ის იძახის, რომ მე მათ ვერ ვაჩერებ, ამას მინდა ხაზი გავუსვა, რომ მან თქვა, რომ ის ვერ აჩერებს.

თავმჯდომარე. განცხადებაც იყო, თუ არ ვცდები.

თ.იაკობაშვილი. მეტსაც გეტყვით. მე ვუთხარი, რომ მე მეთქი, ჩემი თვალით ვნახე, რომ თქვენი ბაზიდან ან სიახლოვიდან იქნა ნასროლი ჭურვები ჩვენი მიმართულებით.

—მან თქვა, რომ დიახ, ისინი იყენებენ ძალიან ცუდ სტრატეგიას, რუსული გამონათქვამია "стреляет из подтишка» ჩვენთან ახლოს დგებიან და ისვრიანო.

—მე ვუთხარი, მერე ვერ აჩერებ შენს გვერდით რომ არის?

—ნუ, ეხლა არ იცით თქვენ ეს რა ის არის.

—და, მიზანი რა არის მეთქი?

—და მიზანი ის არის, რომ თქვენ რომ უპასუხებთ, გაგვარტყამთ ჩვენ და მოკლავთ რუს მშვიდობისმყოფელებს.

მშვიდობისმყოფელებზე მინდა განსაკუთრებით ხაზი გავუსვა ერთ ფაქტს, "ესკაკა" რატომ ვახსენე. იმიტომ, რომ აი, ეგრეთ წოდებული "ესკაკა"–ს ფორმატში გათვალისწინებული იყო რუსული ბატალიონი, სამშვიდობო და ჩრდილოეთ ოსეთის ბატალიონი, რომელიც, როგორც წესი, დაკომპლექტებული იყო ცხინვალის რეგიონის და იმის მოსახლეობიდან, რომლის ხელში იყო ის შეიარაღება, რომელიც არ უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი მოსახლეობის ხელში და რომ ვუთხარი, რომ ჩვენც, მშვიდობისმყოფელებს ესვრიან ე.წ. სამხრეთ ოსეთის, ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობოები მან თქვას, რომ თქვენ ესვრით, ისინიც ესვრიან, პასუხობენ. ანუ, როგორ ჰქონდათ იცით, ფუნქციები განაწილებული, რომ რუსი არ ისროდა, ნუ რაღაც ეტაპამდე და ჩრდილოეთ ოსური ე.წ. სამშვიდობო ისროდა. ანუ იმას თუ მოკლავდი, გამოვიდოდა, რომ ტექნიკურად რუსი სამშვიდობო მოკალი, რასაც მერე ცდილობდნენ, რომ ხელზე დაეხვიათ.

მეორეც, ვიცი და რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ჩვენი მხრიდან ცეცხლი იხსნებოდა მხოლოდ იმ მიმართულებით, საიდანაც ჩვენ გვესროდნენ.

ჰქონდათ მეორე სტრატეგია. ისინი არამარტო რუსების სიახლოვიდან ისროდნენ . . .

თავმჯდომარე. დავაზუსტებ. აი, ცეცხლის გახსნასთან დაკავშირებით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, თქვენ გქონდათ თუ არა კოორდინაცია და ფლობდით თუ არა ინფორმაციას, დავუშვათ, ჩვენი მხრიდან თუ ხდებოდა ცეცხლის გაცვლა და რატომ?

თ.იაკობაშვილი. კი, მაგასაც გეტყვით. ე.ი. წინა პერიოდში, როდესაც იყო ხოლმე ცეცხლის გაცვლა, " перестрел" რასაც ეძახიან, ჩვენი ინიციატივით ,არასოდეს ეს არ ხდებოდა, როდესაც იქიდან ვიღაცა გაისროდა ,მერე ხდებოდა ჩვენი მხრიდან პასუხი. მხოლოდ და მხოლოდ პასუხი და სტრატეგია, რომელიც ჰქონდათ მათ არჩეული, იყო ჩვენი პროვოცირება და დგებოდნენ არა მარტო რუსების სიახლოვეს და ისროდნენ არა მარტო ჩრდილოეთ ოსეთის ბატალიონის წარმომადგენლები, არამედ ისროდნენ სკოლებიდან და საავადმყოფოებიდან, რომ თუ ჩვენ ვუპასუხებდით. დაგვინგრიეს სკოლა და საავადმყოფო და ამაზე ატეხილიყო მთელი ამბავი, რაზეც ჩვენ სპეციალურად მივუთითეთ ეუთოს დამკვირვებლებს, რომ ხდება ესეთი სტრატეგიით ჩვენი მიმართულებით სროლა, ისვრიან სამოქალაქო ობიექტებიდან პირდაპირ, სახლების წინ ჰქონდათ გათხრილი სანგრები და ისროდნენ აი ამ სანგრებიდან და ასეთი სტრატეგია ჰქონდათ მათ არჩეული თუ ტაქტიკა, არ ვიცი, ზუსტად, რა ჰქვია. რაც, პრინციპში, კულახმეტოვმა არ უარყო. ნუ, დიდი ხანი ვისაუბრეთ სხვადასხვა თემებზე, თქვენი ბრალია, ჩვენი ბრალია და, ასე შემდეგ, და ვუთხარი, აი კარგი, ვერ აჩერებ, ვეუბნები, სად არის ჩოჩიევი, აი აქაო და დაველაპარაკოთ. ტელეფონს არ პასუხობს. სად არის კოკოითი, კი ბატონო, შევხვდებით, დაველაპარაკოთ. მე როგორც ვიცი, ქალაქში არ არის. სად არის? არ ვიცი, აღმოჩნდა, რომ ჯავაშია. ვეუბნები, კარგი. ე. ი. სეპარატისტები არ არიან, რომ მელაპარაკონ, შენ ამას ვერ აჩერებ, მაშინ გვირჩიე, რა გავაკეთოთ. მისი პასუხი იყო, მიუხედავად იმისა, რომ სიტუაცია ძალიან დაძაბულია, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება იყოს ძალიან ბევრი პროვოკაციები, გამოაცხადეთ ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტა, რომელმაც შეიძლება იმუშაოს. კი, ქართულმა მხარემ უნდა გამოაცხადოს და დააყოლა, რომ შეიძლება იყოს პროვოკაციები, მაგრამ შეეცადეთ, რომ ეს შეინარჩუნოთ, რაც შეიძლება მაქსიმალურად. მე ვუთხარი, შევეცდებით. ამ პერიოდში, მე პრეზიდენტთან მქონდა რამოდენიმე სატელეფონო საუბარი, როდესაც ჩვენ ვიყავით ცხინვალში. ის ინტერესდებოდა, არის თუ არა პროგრესი, რაღაცის გაკეთება შეიძლება თუ არა, ანუ იყო მცდელობები, რომ ყვალანაირი გზით თავიდან აგვეცილებინა სამხედრო კონფრონტაცია და გამოგვენახა საერთო ენა ადგილობრივ რუს ხელმძღვანელობასთან ან სეპარატისტებთან, რომ შეგვეჩერებინა სამხედრო ესკალაცია. პრეზიდენტმა მითხრა, რომ უთხარი კულახმეტოვს, რომ ჩვენ ცალმხრივად ვაცხადებთ ცეცხლის შეწყვეტას და შევინარჩუნებთ, შევეცდებით მაქსიმალურად მის შენარჩუნებას, ოღონდ ველოდებით, რომ მათი მხრიდან იყოს ნაბიჯები, რომ შეწყდეს დაბომბვა ქაერთული სოფლებისა

თავმჯდომარე. ბატონო თემურ, მე დავაზუსტებ იმიტომ, რომ მერე რომ არ იყოს კითხვა, ე. ი. ცეცხლის შეწყვეტა ხდება, ვთქვათ, ორმხრივი ცეცხლის შეწყვეტა ჩვენი მხრიდან, ცალმხრივად ჩვენი მხრიდან, ე. ი. სიტუაციის ესკალაციამდე და არა ესკალაციის შემდეგ.

თ.იაკობაშვილი. კი, კი, არა, ეს არის ცეცხლის შეწყვეტაზე, 7–ზეა ლაპარაკი, შვიდი რიცხვია, შვიდის საღამოა და პრეზიდენტმა მე დამავალა, რომ ჩამოდი თბილისში და გააკეთე შესაბამისი პრესკონფერენცია, და განცხადება, რომ უთხარი კულახმედოვს და გააკეთე საჯარო განცხადება. კულახმედოვს ვუთხარი, მე ვუთხარი, რომ ჩვენ ვწყვეტთ რაღაც, რამოდენიმე 3 საათის განმავლობაში და იმედი მაქვს რომ დავინახავთ თქვენი მხრიდან რაღაცას, რეაგირებას. ის იყო უკმაყოფილო 3 საათი კი არა, დილამდე უნდა შეწყვიტოთო. მე ვუთხარი ნუ, ჩვენ ვდგამთ ნაბიჯს და განახებთ, რომ სერიოზულად გვინდა საერთო მდგომარეობის დეესკალაცი, ხომ. ნუ, პატარა დეტალი, რომელიც გამომრჩა, როდესაც მე წავედი ცხინვალში ვუთხარი პოპოვს, რომ მივდივარ ცხინვალში, რომელიც თბილისში იყო და ვუთხარი ერთად წავიდეთ მეთქი, და არაო, შენ წადიო და მე ჩამოვალო. მე რომ ცხინვალში ჩავედი, დავურეკე პოპოვს, რომ სადა ხარ მეთქი და გორთან ვარო, საბურავი დამეშვაო. მე ვუთხარი, მერე მეორე საბურავი ხომ გაქვს სათადარიგო, არ ვიცი, სათადარიგომაც დაიშვაო. ანუ, პოპოვი, ჩემი ყოფნის დროს არ ჩამოვიდა. მერე ჩავიდა ის ცხინვალში, ეს ისე უბრალოდ, ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია ვფიქრობ. მე ჩამოვედი სადღაც, ექვსისთვის თბილისში, პრესკონფერენცია მოვიწვიე და განვაცხადეთ, რომ ჩვენ ცალმხრივად ვწყვეტთ ცეცხლს და ველოდებით, რომ ამას მოჰყვება ადეკვატური ქმედებები მეორე მხრიდან. სადღაც 40-45 წუთის შემდეგ, პრეზიდენტმაც გააკეთა შესაბამისი განცხადება, და ჩვენ ,პრინციპში, ველოდით მათი მხრიდან, როგორი რეაგირება მოხდებოდა, რომ აგვეცილებინა სამხედრო კონფრონტაცია. ღამე უკვე ვიყავი პრეზიდენტთან, როდესაც მასმედია და ინფორმაცია, რომ ცეცხლი არ წყდება და გადაწყვეტილება, რომელიც იქნა მიღებული, მე მინდა გითხრათ, რომ მე ვარ ამის უშუალო მომსწრე, იქ ვიყავი კაბინეტში, მიუხედავად ბევრი ჭორაობისა, და მიუხედავად ბევრი დეზინფორმაციისა, არანაირი ბრძანება სამხრეთ ოსეთის განთავისუფლების, რაღაც დაპყრობის, რაღაც ასეთი არ მომისმენია. იყო 3 ბრძანება, პირველი ბრძანება იყო შეაჩერეთ რუსული ტანკების კოლონა, რომელიც მოდის ცხინვალზე, მეორე ბრძანება იყო ჩაახშეთ ყველა საცეცხლე წერტილები, რომლებიც ბომბავენ ჩვენს სოფლებს, და მესამე ბრძანება იყო მინიმალური დანაკარგები მშვიდობიან მოსახლეობაში.

თავმჯდომარე. დავაზუსტოთ მაშინ და მერე ბატონ ნიკას. ესე იგი, ბრძანება თქვენთან, პრეზიდენტთან ერთად ყოფნის პერიოდში, რომ განხორციელებულიყო სამხედრო ოპერაცია, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ასეთი რაღაცა არ იყო, იყო ის ....რაც თქვენ თქვით.

თ.იაკობაშვილი. აი ეს იყო, მე რაც მოვისმინე ჩემი ყურით, ეს იყო 3 ბრძანება, რომელიც გაიცა, იყო შეჩერება რუსული კოლონისა, და მინდა გითხრათ, რომ ჩვენი სტრატეგია თავიდანვე იყო ის, რომ ჩვენ არასამხედრო გზით ვაპირებთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, და ის ბევრი პროექტი, რომელიც განხორციელდა, დავუშვათ, სანაკოევის გარშემო და ა.შ. ამის გარდა, ჩვენ კიდევ გვქონდა ჩვენი ინიციატივები ე.წ. ახალგაზრდობაზე მიმართული, სეპარატისტ ახალგაზრდობაზე მიმართული. იმიტომ, რომ ხდებოდა მათი სერიოზული ინდოქტრინაცია, ისინი მიჰყავდათ, ე. წ. "აპალჩენიაში," ჰყავდათ სანგრებში და ჩვენ ვეუბნებოდით, რომ ნუ იქნებიან სანგრებში, მოდი ამოვიყვანოთ სანგრებიდან, გავუშვათ სასწავლებლად დასავლეთში, ნუ, ძირითადად ლაპარაკი იყო ბალტიისპირეთში

და უკრაინაში, მათ ისწავლონ რაღაც პროფესია, რაღაც ხელობა. აუცილებელი კი არ არის, რომ უცებ, ხვალ ქართველი შეუყვარდეს, მარა პარტნიორი მაინც გვეყოლება, რომ იმის ნაცვლად, რომ ის ავტომატით იჯდეს სანგარში, ნუ, რაღაც პროფესია მიიღოს, განათლება მიიღოს, რომ მერე ჩვენ შეგვეძლოს მათთან ურთიერთობა.

თავმჯდომარე. ბატონ ნიკას ვთხოვ და მერე ...

ნ.ლალიაშვილი. ბატონო თემურ, გთხოვთ, დააზუსტოთ, რომელ საათზე მოხდა ამ 3 ბრძანების გაცემა. რა ტექნიკური საშუალებით მოხდა ანუ ეს იყო წერილობით, სპეცკავშირით თუ, ვთქვათ, მობილური ტელეფონით და ვინ იყო ამ ბრძანებების ადრესატი.

თ.იაკობაშვილი. ხო, ნუ, ადრესატი მე ცოტა გამიჭირდება. იმიტომ, რომ მე აქეთ მხარეს ვუყურებდი და ვის ელაპარაკებოდა, ჩემთვის უცნობია. იყო ე.ი. სპეცკავშირით, რა თქმა უნდა, და ეს ყველაფერი ხდებოდა დაახლოებით, 11 საათისკენ საღამოს. კი, ღამეა ლაპარაკი 7–ში.

რ.თედორაძე. კულახმეტოვთან შეხვედრის დროს 7–ში ე. ი. როგორც თქვენ ბრძანეთ, სადღაც 5 საათისთვის უკვე რუსეთის კოლონას სატანკოს გადმოლახული ჰქონდა, როგორც ინფორმაცია გვქონდა უკვე საზღვარი, რუსეთ–საქართველოს საზღვარი და იმყოფებოდა ცხინვალის რეგიონში. თუ გქონდათ თქვენ ეს ინფორმაცია და ამის თაობაზე თუ გქონდათ საუბარი კულახმეტოვთან დამატებითი ძალების შემოსვლაზე. გმადლობთ.

ლ.ვეფხვაძე. ბატონო თემურ, ერთ კითხვას კიდევ დავამატებ, მას შემდეგ, რაც მოვიდა ინფორმაცია, რომ არ წყდებოდა ცეცხლი ოსური მხრიდან და გრძელდებოდა კიდევ დაბომბვა თუ გქონდათ მცდელობა კულახმეტოვთან კიდევ დაკავშირების?

რ.თედორაძე.ბატონო თემურ, ერთს დავაზუსტებ, ბრძანება, რომ შეჩერდეს რუსული ტანკები, ეს ბრძანება ითვალისწინებდა დიპლომატიურ გზას შეჩერების თუ სხვა გზას?

თ.იაკობაშვილი. მესმის. ნუ, დავიწყებ იქიდან, რომ კულახმეტოვთან მე არ მქონდა რუსულ კოლონასთან დაკავშირებით საუბარი. იმიტომ, რომ კულახმეტოვი იყო სამშვიდობო ძალების სარდალი და მის იმაში არ შედიოდა, დავუშვათ, სხვა საჯარისო ფორმირებების საკითხი. მინდა გითხრათ, რომ დღეისათვის კულახმეტოვი იქიდან გაათავისუფლეს იმიტომ, რომ საერთოდ მოსპეს სამშვიდობო ოპერაციები. მე დამრჩა ესეთი შთაბეჭდილება, ეხლა, შეიძლება ცოტა უცნაური რამე გითხრთ მარა, მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ კულახმეტოვი გულახდილად ცდილობდა, რომ მომხდარიყო რაღაც შეხვედრა და თავიდან აგვეცილებინა კონფრონტაცია. ეს თვითონ კულახმეტოვზეა ლაპარაკიგ, მაგრამ არა საერთოდ რუსულ გენერალიტეტზეა. ამდენად, როგორც შემიძლია, უკვე კულახმეტოვი ძაან ნაკლებად იყო ინფორმირებული, საერთოდ თავისი ხელმძღვანელობის საქმიანობის შესახებ, ისე როგორც საგარეო საქმეთა სამინისტრო. რაც შეხება, ე.ი. ამ სამხედრო კოლონის ამბავი, ისინი რომ, მათ რომ გადმოკვეთეს , მე არ ვიცოდი იმიტომ,რომ ამ დროს უკვე ვიყავი ან ცხინვალის გზაზე, ან უშუალოდ ,ცხინვალში და ღია კავშირით მე ამას , რა თქმა უნდა, არავინ არ მეტყოდა, .გარკვეული.. მიზეზების გამო. ანუ ჩვენი ძირითადი საუბარი პრეზიდენტთან მაინც ეხებოდა, რამდენად გვაქვს პროგრესი და როგორ გვაქვს პროგრესი და ამიტომ სხვა თემებზე, ასე ვთქვათ, სამხედრო თემებზე ამაზე არ გვისაუბრია. რაც შეეხება სამხედრო კოლონის შეჩერებას, ღამის 11 საათისთვის ,ალბათ, უკვე ამას ,ჩემი აზრით,სამხედრო დანიშნულება ჰქონდა და დიპლომატიური გზით, უკვე 11 საათზე ვერ შევაჩერეთ. კულახმეტოვთან მე მქონდა მცდელობები დაკავშირებისა, მაგრამ ის ზარს არ იღებდა. კულახმეტოვს მერე ველაპარაკე უკვე ომის შემდგომ პერიოდში, როცა ისინი ითხოვდნენ კორიდორს, ჰუმანიტარულ კორიდორს. ამაზე მქონდა მასთან საუბარი, რუსეთის ელჩთანაც საუბარი. გვქონდა ურთიერთობები მასთან, როცა ლაპარაკი იყო ტყვეების გაცვლაზე, სამხედრო ტყვეების გაცვლაზე. ... ეს ურთიერთობები, შემდეგში იყო სამუშაო იმაზე, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ საჭიროა. როგორ იყო, იცი რა, ზოგჯერ იღებდა ტელეფონს, ზოგჯერ თვითონ რეკავდა და ზოგჯერ არ იღებდა ტელეფონს, ზოგჯერ ჩემი მოადგილე უკავშირდებოდა და იღებდა ან არ იღებდა და...

გ.გაბაშვილი. ბატონო თემურ, ერთი ასეთი შეკითხვა მაქვს. მას შემდეგ რაც ... გამოაქვეყნა ჩანაწერი საუბრისა, რომელიც ასახავს საუბარს ცხინვალსა და როკის გვირაბს შორის, რომლითაც ჩანს რომ 20 საათით ადრე, საომარი მოქმედებების დაწყებამდე უკვე შემოსულები არიან რუსები. აი, ამ მომენტამდე ... პუბლიკაციამდე არც ერთხელ რუსებს არ უხსენებიათ ე.წ. როტაცია სამშვიდობოების, რომელიც ვითომდა განხორციელდა 7 ღამე. დღეს ისინი ცდილობენ ამით გაამართლონ როკის გვირაბში კოლონების შემოსვლა. თქვენთან საუბრისას კულახმეტოვს ხომ არ უხსენებია რომ ან დღეს, ან დღეს ღამე, ან უახლოეს დღეებში უნდა განხორციელდეს როტაცია. ამ საუბარში 7 ხომ არ უხსენებია, ან მანამდე რაიმე ფორმით ხომ არ შეუტყობინებიათ, ვთქვათ, ან წერილობით, ან ზეპირად, რომ 7-ში ღამე უნდა განხორციელდეს როტაცია რუსი სამშვიდობოების ცხინვალში.

თ.იაკობაშვილი. დიდი მადლობა ამ კითხვისთვის იმიტომ, რომ მე თუ სწორად მახსოვს, და, მე მგონი, არ ვცდები, მაისში განხორციელდა როტაცია და მახსოვს იმიტომ, რომ ჩვენ მაშინვე ვფიქრობდით, ეს როტაცია ხომ არ არის დაკავშირებული რაღაც კიდევ ესკალაციასთან. და, ნუ, მაშინ, ასე ვთქვათ, გვეუბნებოდნენ, ერომ არანაირი ესკალაცია, არანაირი დამატებითი ძალები ამაზე არ არის, იმიტომ, რომ, იცით, როგორ ხდება - როტაცია ხორციელდება, ჯერ შემოდიან ახლები და მერე გადიან ძველები. ანუ რაღაც ეტაპზე ძალთა რაოდენობა იყო გაზრდილი, რაც, რა თქმა უნდა,

ჩვენთვის იყო შეშფოთების საგანი, მაგრამ შემდგომ ამ როტაციის შედეგად, მაისში განხორციელებულისა, ძველები გავიდნენ, თუმცაღა, მაგ პერიოდში უკვე ისმოდა კოკოითის განცხადებები, რომ საჭიროა სამშვიდობოების რაოდენობის გაზრდა ცხინვალის რეგიონში. ამიტომ რადგან, ჩვენ ძალიან, ასე ვთქვათ, სერიოზულად ვაკვირდებოდით, მოხდება თუ არა მართლა როტაცია, როტაცია იყო მაისში, არანაირი როტაცია აგვისტოში არ იგეგმებოდა. შესაბამისად, ამის თაობაზე არც კულახმეტოვს არაფერი უთქვამს და არც ჩვენი მხრიდან არ ყოფილა ასეთი კითხვა.

თავმჯდომარე. ბატონ ლალიაშვილს ვთხოვ.

ნ.ლალიაშვილი. ბატონო თემურ, ჩვენ აქ გვინდა ქრონოლოგიურად აღვადგინოთ სურათი და ამიტომ მე ასე გავყვები და თქვენ, უბრალოდ, დამიდასტურეთ, თუ ეს ასეა. ე.ი. ჩვენ გუშინ მოვისმინეთ დაზვერვის უწყების ხელმძღვანელისაგან, რომ 7-ში დილით, დილის 3 საათზე უკვე არსებობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ე.წ. ინტერსეპტები ანუ ჩანაწერები, რომლებიც ადასტურებდა, რომ რუსული შეიარაღებული ძალები უკვე იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე. თქვენ ამის შესახებ ინფორმაცია არ გქონდათ ანუ თქვენ ამის თაობაზე არც პოპოვთან არ გისაუბრიათ, არც კულახმეტოვთან. თქვენ 7-ში უკვე 15 საათზე იმყოფებით ცხინვალში, რომელიც არის აბსოლუტურად დაცლილი, საეჭვოდ ცარიელია ქალაქი და 7-ში უკვე 23 საათზე თქვენი ყურით მოისმინეთ პრეზიდენტის ბრძანება, რომ შეაჩერეთ რუსული ტანკები. ასეა?

თ.იაკობაშვილი. ნუ, დაახლოებით ასეა, ცოტას დავაზუსტებ. იმიტომ, რომ ინტერსეპტებს რაც შეეხება, მე მქონდა ინფორმაცია, რომ რუსული სამხედრო ტექნიკა დიდი რაოდენობით არის მომდგარი როკის გვირაბთან. ამ ტექნიკის დიდი ნაწილი იმყოფებოდა იქვე ახლოს, იმიტომ, რომ ჩატარდა რუსეთის სამხედრო წვრთნები, მაგრამ ამ მიმართულებით არ წამოსულან მანამდე. რადგანაც მე ვიყავი გზაში საკმაოდ დიდი ხანი, მე უკვე ავხსენი, რომ მე ვერ მექნებოდა ინფორმაცია მათი გადაადგილების შესახებ და ტანკების შესახებ, ტანკების კოლონის შეჩერების შესახებ ბრძანება იყო დაახლოებით 11 საათისკენ. შეიძლება მე ზუსტად ვერ .... 10–დან 11–მდე. აი, ამ შუალედში.

თავმჯდომარე. გმადლობთ.

ა.მინაშვილი. ბატონო თემურ, თქვენ განაცხადეთ, რომ როდესაც საუბრობდით კულახმეტოვთან ....

თ.იაკობაშვილი. უკაცრავად, დავამატებ. ჩემთვის იყო ცნობილი, ესე იგი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, რუსეთის კი არა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომელიც მათ გააკეთეს 7–ში, რომ, ე.ი. რუსეთის სამხედრო ტექნიკის გადაადგილებასთან დაკავშირებით. ეს ვიცოდი უკვე იმიტომ, რომ საგარეომ გააკეთა განცხადება.

ა.მინაშვილი. თქვენ საუბრობდით, რომ ბატონ კულახმეტოვთან საუბრისას მან გთხოვათ, რომ ცეცხლის, ცალმხრივი ცეცხლის შეწყვეტა ყოფილიყო მეორე დღეს ანუ 8 აგვისტომდე, 8 აგვისტოს დილამდე. რატომ? დღევანდელი გადასახედიდან, ხომ არ ფიქრობთ, რომ ხომ არ იყო შეთამაშებული მოქმედება. იმიტომ, რომ 8 აგვისტოს დილამდე უკვე რუსული არმია, უკვე საკმაოდ გაშლილი იქნებოდა საქართველოს ტერიტორიაზე იმ მონაცემებით, რაც ჩვენ მივიღეთ საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელისგან. და მეორე კითხვა. ხომ არ იყო გარკვეული განცხადებები თავად კოკოითის მხრიდან 7 აგვისტოს დილით ულტიმატუმის სახით. თუ არ ვცდები, რაღაცა ტიპის განცხადება იყო, ბატონმა კოკოითმა გარკვეული ულტიმატუმი წამოუყენა ქართულ სამშვიდობო ბატალიონს. დიდი მადლობა.

თავმჯდომარე. ბატონ ვეფხვაძეს ვთხოვ, და მერე ...

თ.იაკობაშვილი. ესე იგი, ვერ გეტყვით ზუსტად ეხლა ეს უბრალოდ სპეკულაციის თემა იქნება, იცოდა თუ არა კულახმეტოვმა ამის შესახებ. ყოველ შემთხვევაში კულახმეტოვი რა მდგომარეობაშიც აღმოჩნდა, მე მაფიქრებინებს, რომ შეიძლება მას არც სცოდნოდა. იმიტომ, რომ ..... რუსებმა უბრალოდ ის გაწირეს, მაგრამ გადარჩა ეს კაცი და გადარჩა იმიტომ, რომ, ზუსტად იმიტომ, რომ ქართველებს არ ჰქონიათ მიზნად გინდა თუ არა რუსების სამშვიდობო ძალების განადგურება. ეს მიზანი რომ ჩვენ გვქონოდა მაშინ კულახმეტოვი ცოცხალი ვერ იქნებოდა, ხომ? უფრო მეტსაც გეტყვით, რუსები ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომ ჩვენ დაბომბვა დავიწყეთ იმ დროს, როცა მე ვიყავი რუსების შტაბში და იყო ისეთი ინფორმაცია, ... ვთქვი, რომ გამოდის, რომ მე ცოცხალი არ ვარ, იმიტომ, რომ იქ ვიყავი, როცა რუსების განცხადებით ეს იბომბებოდა. მერე შეატრიალეს და შეცვალეს თავისი ოფიციალური ვერსია. ამიტომ მე არ გამოვრიცხავ, რომ კულახმეტოვს არ სცოდნოდა. თუმცა რომ ამაზე დარწმუნებით თქმა გამიჭირდება იმიტომ, რომ არ ვიცი.

დავაზუსტებ, თუ შეიძლება. მაშინ რა არგუმენტაცია გქონდათ, როდესაც მიგითითათ ამ თარიღზე, 8 აგვისტოს დილის თარიღზე. გითხრათ თუ არა, რომ ამ ვადაში მას შეეძლო სიტუაციის გამოსწორება?

თ.იაკობაშვილი. არა. ის იძახდა, რომ დილამდე მაინც რომ შეინარჩუნოთ, იქნება კარგი. თუ მან იცოდა ეს, გასაგებია, რაც იყო ეს ყველაფერი ანუ იყო მცდელობა, რომ, ასე ვთქვათ, როცა შემოვიდოდა ..... ჯარები და იმას რაღას უზამდი. მინდა გითხრათ, რომ თუ ეს ძალები შემოასწრებდნენ ცხინვალში, მაშინ ჩათვალეთ, რომ პრაქტიკულად მოწყვეტილი

იქნებოდნენ ცხინვალის ზემოთ არსებული სოფლები იმიტომ, რომ ის შემოვლითი გზა – ე. წ. "პაუკის" გზა, იბომბებოდა ძალიან ინტენსიურად და მათზე გადაადგილება ვერ ხდებოდა. ეს იყო ერთადერთი შემოვლითი გზა, რომლითაც ჩვენ ვუკავშირდებოდით ცხინვალის ზემოთ არსებულ სოფლებს და ქართულ დასახლებულ პუნქტებს. შესაბამისად, ეს ტანკები თუ იქნებოდნენ უკვე ცხინვალში, ჩათვალეთ, რომ ჩვენ მთლიანად მოწყვეტილი გვექნებოდა, აი ის სოფლები, დიდი ლიახვის ხეობა მთლიანად იქნებოდა მოწყვეტილი ჩვენგან.

რაც შეეხება კოკოითის განცხადებებს. კოკოითი ძალიან სიტყვაუხვი იყო პირველი აგვისტოდან მოყოლებული და აკეთებდა ძალიან ხშირ განცხადებებს. ულტიმატუმების ხასიათი ჰქონდა ბევრ განცხადებებს, რომელიც მოუწოდებდა, რომ გასულიყვნენ, მოუწოდებდა საერთაშორისო ორგანიზაციებს, დაეტოვებინათ ეს ადგილი. პირდაპირ და ღიად სდებდა მათ ბრალს, რომ ისინი ქართულ მხარესთან, რაღაცნაირად თანამშრომლობდნენ, რაღაც შეთანხმებულები არიან, აკეთებდა განცხადებას, რომ, უფრო სწორედ, დილით აკეთებდა განცხადებას, რომ ოსეთი უნდა იყოს დამოუკიდებელი, საღამოს აკეთებდა, რომ რუსეთს უნდა შევუერთდეთ ანუ ეხლა ამის ამოწევა ყველაფრის შეიძლება, მაგრამ მისი მხრიდან იყო ძალიან ბევრნაირი განცხადებები, მათ შორის, ულტიმატუმური ფორმისა, ნუ, რომელიც, ალბათ, უფრო ძირითადად, ტრენდს მიანიშნებდა, ვიდრე, ასე ვთქვათ, რამე ისეთს, რაც შეიძლება სერიოზულად ყოფილიყო ჩვენი მხრიდან აღქმული.

თავმჯდომარე. ვეფხვაძეს ვთხოვ.

ლ.ვეფხვაძე. ბატონო თემურ, ჩვენ ცოტა ჩავაცივდით ამ თქვენს საბოლოო 11 – საათიან შეხვედრას პრეზიდენტთან. მე მაინც დაზუსტება მინდა. ანუ პრეზიდენტმა გადაწყვეტილება მიიღო თქვენთან საუბრის შემდეგ თუ მარტო თქვენ და პრეზიდენტი იმყოფებოდით თუ სხვა, ასე ვთქვათ, პირებიც იყვნენ?

თ.იაკობაშვილი. მე, ჩემთან საუბრის შემდეგ არა, ჩემთან საუბრის დროს. იმიტომ, რომ მას ურეკავდნენ, სხვადასხვანაირ ინფორმაციას აწოდებდნენ და როგორც ჩემთვის ცნობილია, ეს ინფორმაციები შეეხებოდა რუსეთის სატანკო კოლონის გადაადგილებას და გადაწყვეტილება იქნა მიღებული მას შემდეგ, რაც დადასტურდა თუ არ ვცდები, მესამე წყაროდან, სამი სხვადასხვა წყაროდან, რომ ეს კოლონა წამოვიდა ცხინვალზე.

ლ.ვეფხვაძე. და დამატებით კითხვა ერთი, რაც მინდა გითხრათ. თქვენ გახსოვთ, იმ საღამოს გენერალ ყურაშვილის განცხადება, მან ახსენა ტერმინი: "ცხინვალის რეგიონში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენისთვის სპეცოპერაციის დაწყების შესახებ". ეს იყო"რუსთავი – 2" – ის პირდაპირ ეთერში, იხმარა თუ არა პრეზიდენტმა ეს ტერმინი ბრძანების გაცემის დროს.

თ.იაკობაშვილი. არა, პრეზიდენტს ეს ტერმინი არ უხმარია. ყოველ შემთხვევაში მე რაც იქ ვიყავი და რაც მერე მოვისმინე, მას არ უხმარია ესეთი ტერმინი, რომ აღადგინეთ ტერიტორიული მთლიანობა ან რაღაც ესეთი. ესეთი ბრძანება არ ყოფილა.

თავმჯდომარე. დავაზუსტებდი. ე.ი. ბატონ ყურაშვილს ამ მოქმედების პროცესში, თქვენთან ჰქონდა თუ არა კონტაქტი, როცა ამ განცხადებას აკეთებდა თუ ეს დამოუკიდებლად ხდებოდა ამ განცხადების გაკეთება.

თ.იაკობაშვილი. ყურაშვილს, რა თქმა უნდა, მე ვიცნობდი და მქონდა სამსახურეობრივი ურთიერთობა, მაგრამ მას ამ განცხადების გაკეთების დროს ჩვენთან კონტაქტი არ ჰქონია. მე როგორც ვიცი ეს განცხადება იქნა გაკეთებული პირდაპირ ეთერში და მანამდე იყო სატელეფონო საუბარი, ყურაშვილსა და კულახმეტოვს შორის, ეს იყო, მე ვიცი კულახმეტოვისგან და კულახმეტოვმა ჰკითხა, რომ – "რა ხდებაო", და მან უპასუხა, რომ – "რა ხდებაო და წესრიგს ვაღდგენთო ჩვენო" და ამის, ასე ვთქვათ, გაფიარებას ცდილობდნენ რუსები, რომ, გინდა თუ არა, ესენი ძალისმიერი მეთოდებით წყვეტავენ პრობლემასო.

მე მინდა გითხრათ, რომ ასეთი მიზანი, რომ ძალისმიერი მეთოდებით პრობლემა გადაგვეწყვიტა არ იყო და ჩვენი მხრიდანაც და სხვების მხრიდანაც არაერთხელ იქნა გაცხადებული რუსების მიმართ, რომ ჩვენ არ ვაპირებთ სამხედრო ოპერაციას ცხინვალის რეგიონში, იმიტომ რომ მიგვაჩნია ეს აბსოლუტურად უაზროდ, იმიტომ რომ ამას შეიძლება მოჰყვეს დიდი მსხვერპლი, მაგრამ არანაირი აზრი ჩვენთვის ან ცხინვალის აღებას და ფასეულობა არა აქვს ცხინვალზე განხორციელებული, ე.ი. მინდა აღვნიშნო ძალიან მიზანმიმართული დარტყმები, ზოგიერთ ობიექტებზე, არა ისე, როგორც ამას რუსები ყვებიან, რომ ჩვენ მძინარე ცხინვალი დავბომბეთ გრადით, გრადით მძინარე ცხინვალი არ დაგვიბომბია, განხორციელებული იყო იმ ადგილების ჩასახშობად, საიდანაც ესროდნენ როგორც ცხინვალის სამხრეთით მდებარე სოფლებს, ისე ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე სოფლებს.~

თავმჯდომარე. ეს ხდება 7 აგვისტოს 11 საათის შემდგომ.

თ. იაკობაშვილი. არა, სროლები იყო მანამდეც და ...

თავმჯდომარე. არა, სროლები გასაგებია, მაგრამ თვითონ ამ, გამოყენება იმის ჩასახშობად,

თ.იაკობაშვილი. კი, ანუ ე.ი. პრეზიდენტის ბრძანება იყო სამხედრო თვალსაზრისით, თუ ჩათვლით, ეს არის რუსების ტანკების შეჩერება და ყველა იმ საცეცხლე წერტილების ჩახშობა, საიდანაც ესვრიან სოფლებს. ერთ–ერთი ეგეთი ადგილი, როგორც ჩვენთვის ცნობილია, იყო ეგრეთწოდებული ხეთაგუროვო, მერე რაღაც ვერხნი გარადოკი და ესეთი ადგილები, რომლებიც მერე რუქებზე და უფრო სწორად სატელიტურ სურათებზე ჩანს, ზუსტად რა იბომბებოდა, როგორ იბომბებოდა. და აქვე მინდა დავამატო, რომ ჩვენი მხრიდან, როდესაც ჩვენ ვითხოვთ საერთაშორისო გამოძიებას, ზუსტად იმიტომაც ვითხოვთ, რომ ძალიან მარტივი დასადგენია რით, როდის და საიდან იბომბებოდა ცხინვალი.

თავმჯდომარე. ბატონო თემურ, ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია მივიღეთ თქვენგან, მე მინდა გკითხოთ, აი, ამ ინფორმაციის საფუძველს, რასაც თქვენ ფლობდით კონფლიქტამდე, რატომ არ იქნა გადახედილი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც, ვთქვათ, ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია, რომ მუშა ჯგუფები იყო ამ მიმართულებით და მუშაობდა, ვერ მოესწრო თუ რა მიზეზით ხდებოდა ეს? და კიდევ ერთხელ დავაზუსტებდი ჩემს შეკითხვას, რომელიც დაგისვით, თქვენ არ გიპასუხიათ, რატომ არ ჩატარდა მთავრობის სხდომა ამ მიმართულებით, როდესაც სიტუაცია ასე იძაბებოდა? და ქალბატონ ხათუნას.

ხ.გოგორიშვილი. უბრალოდ, რადგან ბლოკებად ვსვამთ შეკითხვებს, დამავიწყდა – ხათუნა გოგორიშვილი, ბატონო თემურ, თქვენ დეტალურად ისაუბრეთ იმ აქტივობების შესახებ, რომელიც ჰქონდათ 1 აგვისტოდან მოყოლებული 7 აგვისტოს ჩათვლით. მე მაინტერესებს პირადად თქვენი აზრი, აი, ამ გადასახედიდან დღევანდელი გადასახედიდან, როგორ ფიქრობთ, ამოწურა თუ არა ქართველმა მხარემ ყველა შესაძლო საშუალება დიპლომატიური გზებით მოლაპარაკებებისა თუ თვლით, რომ კიდევ რაიმე შეიძლებოდა დამატებით გაკეთებულიყო რაიმე აქტივობა, რომელსაც შეიძლება, აი, თუნდაც მინიმალური შედეგი გამოეღო.

დ.ლორთქიფანიძე. ბატონო თემურ, მეც მაქვს ერთი შეკითხვა – დიმიტრი ლორთქიფანიძე, ჩემი შეკითხვა, ვფიქრობ, რეინტეგრაციის სფეროს განეკუთვნება. ცხინვალის რეგიონის შემდეგ, ყველაზე დიდი ოსური კომპაქტური ჩასახლება გახლავთ ახმეტის რაიონში. იქ არის 8 ოსური სოფელი. ერთ–ერთი ყველაზე დიდი სოფელია ფიჩხოვანი და მის გარშემო კიდევ შედარებით მცირე ოსური 7 სოფელი გახლავთ. მე მინდა შეგეკითხოთ, აი, პირდაპირი მტკიცებულების შექმნის მიზნით, ხომ არ მიგიქცევინებიათ, ასე ვთქვათ, საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება ამ გარემოებასთან, ამ ფაქტთან, ხომ არ ჩაგიტარებიათ გარკვეული გასვლითი, ესეთი, მუშა, სამუშაო რეჟიმებში, ხომ არ გიმუშავიათ ამ რეგიონში?

თ.იაკობაშვილი. დიახ, გმადლობთ. დავიწყებ მთავრობის სხდომიდან. მინდა გითხრათ, რომ მთავრობის ე.ი. ორ ნაწილად გავყოფდი და იყო ეროვნული უშიშროების საბჭოს ე.ი. სხდომები, რომელიც იყო დიდ ნაწილად დახურული ხოლმე და კონცეფცია ეროვნული უსაფრთხოების, უშიშროების კონცეფცია, რომელიც ჩვენ 3 წლის წინ მივიღეთ, პრინციპში თუ გადახედავთ, ნახავთ, რომ იქ ის ძალიან ადეკვატურია იმ რეალობისა. იქ წერია, რომ შესაძლებელია ფართომასშტაბიანი კონფრონტაცია რუსეთის მხრიდან, მისი ალბათობა, მაშინდელზე ნაკლები იყო, მაგრამ ეს ისეთი დოკუმენტია, რომელიც არ იცვლება ყოველდღე. სამუშაო ჯგუფები ყოველთვის არსებობს, რომელიც მუშაობს ე.ი. მასში ცვლილებების შეტანაზე. ეს არის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფები, მაგრამ ეროვნულ უშიშროების საბჭოს კონცეფციაში, იმ მომენტში შეტანილი ცვლილებები არანაირი აზრის მატარებელი არ იყო იმიტომ, რომ კონცეფცია მუშავდება იმისათვის, რომ მასზე დაეყრდნოს მერე სხვა კონცეპტუალური დოკუმენტები, როგორც არის სამხედრო დოქტრინა და ასე შემდეგ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არც ერთ დოკუმენტში, საქართველოში არსებულ არც ერთ სამხედრო დოქტრინაში და არც უშიშროების საბჭოში, არც უშიშროების სტრატეგიებში, არც სხვებში, არსად არ წერია, რომ საქართველომ რუსეთს უნდა გამოუცხადოს ომი და შევიდეს მასთან რაღაც ფართომასშტაბიან კონფრონტაციაში ან თუნდაც, რა ჰქვია, სამხედრო გზით მოახდინოს ტერიტორიების დაბრუნება და ა.შ. ასეთი რაღაცეები არ წერია. შესაბამისად, მთელი ქართული არმია და უშიშროების თემა ვითარდებოდა ისე, რომელიც ითვალისწინებდა აგრესიის შეჩერებას იმ დრომდე, სანამ ჩაერთობა საერთაშორისო თანამეგობრობა. და მე მინდა გითხრათ, რომ იმ მძიმე დღეებში, როდესაც ომი იყო და ჩვენ ვიყავით უკვე ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის მსხვერპლი, იყო შეხვედრა ასევე პრეზიდენტთან, სადაც ძალიან მძიმე არჩევანი უნდა გაეკეთებინა ქვეყნის ხელმძღვანელობას. ჩვენ ვაპირებდით, ასე ვთქვათ, დროებით უკან დახევას და საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართვას ამ პროცესში თუ გადავიდოდით, ასე ვთქვათ, პარტიზანულ ომზე, რომელსაც შეიძლება შეეწიროს და შეეწირებოდა კიდევაც ქართული სახელმწიფო, ანუ ჩეჩენიზაცია ან ავღანიზაცია. და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ჩვენ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო, როგორც ასეთი, გადარჩეს და ის ამ გადაწყვეტილებაზე, ეხლა დაფუძნებული ის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენ უბრალოდ გამოვიყვანეთ ჩვენი ჯარები და არ გავუშვით სასაკლაოზე. ამის გამოც არის, რომ მსხვერპლი ქართველ არმიაში არ არის ისეთი დიდი, რომელიც სხვა შემთხვევაში შეიძლება ყოფილიყო მოსახლეობაში.

რაც შეეხება დიპლომატიურ გზებს, ეხლა მე რომ არ ვყოფილიყავი ამის უშუალო მონაწილე, მეც მექნებოდა ბევრი შეკითხვები, მაგრამ, მე თვითონაც მინდა გულახდილად გითხრათ, ბევრჯერ დაუსვი ეს კითხვა ჩემს თავს, რომ მაქსიმალური თუ გავაკეთეთ იმისათვის, მეც, ჩემმა კოლეგებმაც და მთავრობის სხვა წევრებიც, იმისათვის, რომ აგვეცილებინა თავიდან. დიახ, ჩვენ გავაკეთეთ აბსოლუტური მაქსიმუმი იმისა, რისი გეკეთებაც შეიძლებოდა,

როგორც გითხარით, რომ ჩვენ, პრინციპში, ონლაინრეჟიმში გვყავდა ინფორმირებული ჩვენი დასავლელი კოლეგები, აბსოლუტურად ყველაფრის შესახებ, რაც ხდებოდა რეგიონში, კონფლიქტურ რეგიონში. მათ იცოდნენ აი, ე.წ. წითელი ხაზების შესახებაც და იყო კონსენსუსი, რომ რაღაც შემთხვევაში ჩვენ უნდა, ასე ვთქვათ, გვემოქმედა. და რაც შეეხება რა იყო ჩვენი მოლოდინები, ეხლა, ამ, მოლოდინი იმისა, რომ იქ განხორციელდებოდა ფართომასშტაბიანი, ცრუმასშტაბიანი აგრესია საქართველოს წინააღმდეგ, ნუ, ამის ალბათობა ნაკლები იყო. და მე, როგორც ეხლა გადასახედიდან ვფიქრობ, მე ვფიქრობ, რომ ეს ალბათობა გაჩნდა მას მერე, რაც პუტინი ჩავიდა ვლადიკავკაზში.

რაც შეეხება ახმეტის სოფლებს. ჩვენ შეგნებულად, რა თქმა უნდა, ეს თემა ჩვენ დავუსვით უცხოელ პარტნიორებს და ვუთხარით, რომ აგერ არიან ოსები არა მარტო ეგ, კიდევ სხვა ადგილებშიც ცხოვრობენ საკმაოდ ბევრი. მათ არავინ არაფერს არ ერჩის, ამდენად, რაღაც გენოციდზე ლაპრაკი საერთოდ სისულელეა. მაგრამ, გეტყვით, რომ მიზანმიმართულად ჩვენ თავი ავარიდეთ ამის, ასე ვთქვათ, ე.წ. გაპიარებას და ტელეკამერებით იქით აქეთ სიარულის. იმიტომ, რომ ეს ხალხი თვითონ არ ჩაგვეყენებინა უხერხულ მდგომარეობაში და ახლა თქვენთვის, ყველასთვითვის კარგად ცნობილია, რომ სამშვიდობო პროცესში რაც უფრო ნაკლებია გაშუქება, უფრო მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ შეიძლება ამან მოშალოს ნდობა და ვიღაცამ გადათარგმნოს, რომ აი, ეს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ვიღაცამ პიარი აკეთოს. ამიტომ ჩვენ საქმიანობაში ბევრი კადრები არ არსებობს ზუსტად მაგის გამო, რომ არ გვინდოდა, რომ დისკომფორტი შეგვექმნა ვინმესთვის, თუნდაც იმ ოსური მოსახლეობისთვის, რომელიც დანარჩენ საქართველოში ცხოვრობს.

თავმჯდომარე. თუ რაიმე შეკითხვები არ არის, მაშინ ერთი შეკითხვა... სხდომა რომ დახურულ რეჟიმში გავაგრძელოთ.

——————ერთი, რაც მინდა გკითხოთ, რისი თქმის, კითხვის უფლება არა მაქვს იმიტომ, რომ რამოდენიმე დიპლომატთან, ევროპელი დიპლომატი ძალიან შეშფოთებას გამოთქვამდა. პირადი საუბრების დროს მითხრეს თქვენ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით, რომელსაც თქვენ იყენებთ ხოლმე საჯარო გამოსვლებში და აღნიშნავენ, რომ ეს ტერმინოლოგია არ არის დიპლომატიის ენის შესაბამისი. თქვენ რა კომენტარს გააკეთებთ ამაზე? ეს ერთი.

მეორე. მინდა კოდორის ხეობასთან დაკავშირებით გკითხოთ. იმიტომ, რომ სადღაც 10–ში თუ 11–ში დილას იყო თქვენი მიმართვა აფხაზების მიმართ და ხომ არ შეგიძლიათ გვითხრათ ამ მიმართვის ისტორია. რატომ, იმ მომენტში რამ განაპირობა ის მიმართვა, რა იმპულსი არსებობდა იმათგან ისეთი, რომ თქვენ გაგიჩნდათ სურვილი, რომ მიგემართათ, რომ ამ პროვოკაციაზე არ წამოსულიყვნენ.

თ.იაკობაშვილი. ხო, ნუ, დავიწყებ პირველი შეკითხვიდან. ჩემი დიპლომატიური, ასე ვთქვათ, სიტყვიერების შეფასებას, მე ვერ გავაკეთებ – ვიღაცას მოსწონს, ვიღაცას არ მოსწონ. ეხლა მე შემიძლია ბევრი გითხრათ, ვისაც მოწონს და მინდა გითხრათ, რომ არიან ისინი და მე თვითონ გითხარით ის შემთხვევა, როდესაც ჩვენი მხრიდან მკვეთრი საუბარი აღიზიანებდათ, მე მოგიყევით ბრიუსელის მაგალითი და მინდა გითხრათ, რომ არსებობენ ისეთი დიპლომატები, რომლისთვისაც არაკომფორტულია, მოდით, გულახდილად ვილაპარაკოთ, როცა საუბრობ იმაზე, რომ თქვენ იყავით მთლიანად საქმის კურსში, მაგრამ არაფერი არ გააკეთეთ ანუ რაც გააკეთეთ, იყო არაადეკვატური. რა თქმა უნდა, ეს არ ეხება ყველა ქვეყანას, რა თქმა უნდა ეს არ ეხება ყველა სახელმწიფოს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ჩვენ ვისმენთ ხოლმე რაღაცეების ჩვენზე გადმობრალებას, იმიტომ რომ ვიღაცის ქმედებები იყო არაადეკვატური.

მე მინდა გითხრათ რომ 11 წელი ვიმუშავე დიპლომატიაში ამ თანამდებობამდე და ძალიან კარგათ ვიცი რას ნიშნავს სიტყვები და ა.შ. მაგრამ ჩვენი მხრიდან და ჩემი მხრიდან ხისტი განცხადებები იყო ზუსტად იმის გამო გაკეთებული, რომ ჩვენ უკვე ყველაფერს ვიყენებდით იმისათვის, რომ ყურადღება მიგვეპყრო და გვეთქვა, რომ ეს უკვე სერიოზული ომია და ეს არ არის ჩვეულებრივი კამათი და შეხლა – შემოხლა. რაც შეეხება ჩვენი მიმართვის, ჩემი მიმართვის ტექსტს. დიახ, მას აქვს წინაისტორია, რომელსაც მე მოგიყვებით და დახურულ სხდომაზე თქვენის ნებართვით. მაგრამ ეს იყო ჩემი ღრმა რწმენით, ძალიან მნიშვნელოვანი მიმართვა იმისათვის, რომ ჩვენ თავიდან აგვეცილებინა ქართველებსა და აფხაზებს შორის მორიგი სისხლისღვრა. მინდა გითხრათ, რომ, პრინციპში, ახალი სისხლი ქართველებსა და აფხაზებს შორის არ დაღვრილა, რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი მომავალი შერიგების თვალსაზრისით და მე დარწმუნებული ვარ ეს შერიგება აუცილებლად იქნება. კოდორის ხეობა აიღეს რუსებმა. ჩვენებმა მოიგერიეს 7 შეტევა დაბოლოს, რომ მიხვდნენ რომ ისენი ჩვეულებრივი სახმელეთო შეტევით ამას ვერ აიღებდნენ, დაიწყეს მისი მასიური დაბომბვა ჰაერიდან და თქვენ მოგეხსენებათ, რომ ჩვენ საშუალებები, რომ ეს საჰაერო დაბობვა, სხვა რაღაცა გზებით შეგვეჩერებინა, იმ მომენტისათვის არა გვქონდა და ამ მომენტისათვის როდესაც კოდორზე ... შეტევა, ჩვენ გავაკეთეთ ეს სპეციალური განცხადება იმისათვის, რომ თავიდან აგვეცილებინა ახალი სისხლისღვრა ქართველებსა და აფხაზებს შორის. მინდა გითხრათ არადახურულად. რუსები ყველანაირად ცდილობდნენ, რომ ეს სისხლი დაღვრილიყო. ყველანაირად უბიძგებდნენ, რომ მომხდარიყო ახალი შეტაკება და ამას ჰქონოდა სერიოზული მსხვერპლის შედეგები.

თავმჯდომარე. გქონდათ თუ არა კონტაქტი კოდორის ხეობასთან, იმ მომენტში, როდესაც ხდებოდა შეტევები და, კონკრეტულად, ვისთან გქონდათ ეს კონტაქტი კოდორის ხეობაში?

თ.იაკობაშვილი. არა. კოდორის ხეობასთან მე კონტაქტი არ მქონდა. კონტაქტი მქონდა ჩვენს უწყებებთან შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და მინდა გითხრათ, რომ ომის პერიოდში კოორდინაცია ხდებოდა შესაბამის უწყებაში და ეს

უნდა ხდებოდეს, ყველაფერი, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. და სამინისტროები მუშაობდნენ სამი ბლოკად, იყო ერთი ბლოკი – ეკონომიკური ბლოკი. და ... სამინისტროები და ჰუმანიტარული. მეორე ბლოკი იყო დიპლომატიური და მესამე ბლოკი იყო უკვე უსაფრთხოებისა. აი, ეს სამივე ბლოკი რეგულარულად ცვლიდა ინფორმაციებს, თუმცაღა, რა თქმა უნდა, შიდა ბლოკებშიც იყო ინფორმაციის გაცვლა და რა მეთოდებით, ამაზე ღიად ვერ ვილაპარაკებ.

მაგრამ მნიშვნელოვანი არის, ისიც მინდა დავამატო, რომ ხშირ შემთხვევაში ხდებოდა ისე, რომ რაღაც ჩანაცვლება ხდებოდა ერთი მეორეთი ან ისეთი საქმიანობის კეთება, რომელიც არაკრიზისულ მდგომარეობაში, პირდაპირ უწყებრივი მოვალეობა არ არის. ამის მაგალითი შემიძლია მოგიყვანოთ ჩვენი უწყების საქმიანობიდან: ჩვენ შევქმენით ცხელი ხაზი, თუმცაღა ეს პირდაპირ შეიძლება არც გვევალებოდა, მაგრამ ამ ცხელი ხაზის მეშვეობით, საბედნიეროდ, ჩვენ შევძელით უამრავი მასალების მოპოვება, რომელიც გამოყენებულ იქნა სასამართლოში და კიდევ მეტსაც გამოვიყენებთ, შევძელით ასობით ადამიანის გადარჩენა იმიტომ, რომ ჩვენი თხოვნით საპატრიარქო ჩაერთვა და, მინდა გითხრათ, რომ გაცილებით უფრო ეფექტურად, ვიდრე ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაცია, რაზეც მე მადლობაც კი ღიად გადაუხადე პატრიარქს. იმიტომ რომ ჩვენ ამ პარალელურ რეჟიმში, ომის დროს გვქონდა აქტიური კონტაქტი საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან, რომ მათ აღმოეჩინათ დახმარება ყველასთვის, არ არის ლაპარაკი მარტო ქართველებისთვის და ეთნიკური ქართველებისთვის, ყველასთვის, ვინც კი ზარალდებოდა საომარი მოქმედებებიდან და ისინი აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართულნი და მას მერე რაც მოხდა ე.ი. რუსების ბოლომდე შემოჭრა და გორში ჩამოსვლა და ა.შ. და ვიცოდით, რომ არიან ჩარჩენილი ხალხი, ცხელი ხაზით, კონფლიქტურ ზონაში და შემდეგ ვერც ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ ვერ შეაღწია, შეაღწია საპატრიარქომ. ესეც ფაქტია და მე მინდა, რომ იცოდეს ხალხმა.

თავმჯდომარე. ბატონო თემურ, თქვენ ახსენეთ სამი ბლოკის თაობაზე, ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც პრაქტიკულად, ჩვენ გვინდა დავადგინოთ რამდენად უფრო სწორად, როგორ მუშაობდა მთავრობა კონფლიქტის პერიოდში და მაინტერესებს პრემიერ – მინისტრი რა ფუნქციას ასრულებდა ამ სამი ბლოკის მუშაობასთან დაკავშირებით და ახდენდა კოორდინირებას ამ სამი ბლოკის მუშაობისა, უშიშროების საბჭოს მდივანი თუ პრემიერ –მინისტრი თუ თვითონ პრეზიდენტი.

თავმჯდომარე.დავამატებ კითხვას, აი, დღევანდელი გადასახედიდან თქვენ შეხება გქონდათ სამივე ბლოკის, იგივე მინისტრებთნ და სხვადასხვა ტიპის თანამდებობის პირებთნ და არა მარტო მათთან გქონდათ ასევე გარკვეული შეხება გორთან და დასავლეთ საქართველოსთაც სამსახურეობრივად, დღევანდელი გადასახედიდან ხომ არ შეგიძლიათ თვენი შეფასება გააკეთოთ, თუ გგონიათ რაიმე შეცდომა ან რაიმე არასწორი გადაწყვეტილება, რომელიც კონკრეტულად თანამდებობის პირმა მიიღო, აი, თქვენი აზრით დღევანდელი გადასახედიდან.

თ.იაკობაშვილი. რაც შეეხება სამი ჯგუფის კოორდინაციას, კოორდინაცია ხდებოდა სხვადასხვა დონეებზე, იყო შემთხვევები ეს იყო პრეზიდენტის დონეზე თუ ამის საჭიროება იყო, სხვა შემთხვევებში იყო პრემიერის დონეზე და უფრო აქტი, ასე ვთქვათ, სამუშაო ყოველდღიურ დონეზე ხდებოდა ეროვნული უშიშროების საბჭოში ეს კორდინაცია. ნუ, რაღა თქმა უნდა, ეხლა არავის არ აუკრძალია ჩვენთვის ერთმანეთთან ტელეფონით დარეკვა და ეგეთი რაღაცეები. თუმცაღა ტელეფონები ძალიან ცუდად მუშაობდა იმ პერიოდში და ჩვენ სხვა გამოსავალიც ვნახეთ, მაგრამ ეხლა აი, კონკრეტულ მაგალითს მოგიყვანთ. როდესაც ინფორმაცია გვქონდა, დავუშვათ, ჩარჩენილ მოსახლეობაზე და დაღუპულებზე. იქ იყო საკმაოდ ამაზრზენი ფაქტები. ან, დავუშვათ, ინფორმაცია მოდიოდა დაღუპული ჯარისკაცების ადგილსამყოფელზე, რომელიც ან დამარხეს ან რაღაცა ქნეს. ეხლა ეს ინფორმაცია სხვადასხვა უწყებებში პარარელურად მიდიოდა იმიტომ, რომ თუ გამოყვანაზე იყო ლაპარაკი ამას საპარტიარქო აკეთებდა, რომელიც მთავრობა არ არის, მაგრამ, რა თქმა უნდა, იმ საქმის კურსში ვაყენებდით. პარარელურად ვაყენებდით ჯანდაცვის სამინისტროს საქმის კურსში იმიტომ, რომ ისინი აღრიცხავდნენ, ასე ვთქვათ, დახმარების საჭიროებას, ელემენტარულად აღრიცხვიანობა, რომ ვინ არის დაღუპული და სახელი და გვარი. რა თქმა უნდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს იმიტომ, რომ მათაც ეხებათ, იუსტიციას ანუ ერთი და იგივე თემა შეიძლება სხვადასხვა უწყების პრეროგატივა ყოფილიყო სხვადასხვა კუთხით და ამას, უბრალოდ, ამ ეტაპზე, ამ ომის პერიოდში ან სიას უგზავნიდი, ან ხელით მიგვქონდა, ან ტელეფონით ვურეკავდით და რაღაცა. ანუ იყო ..... შიდა კოორდინაცია, მაგრამ, დავუშვათ, ეკონომიკური თემატიკა იყო ჯგუფი, რომელიც ეკონომიკაზე ცალკე მუშაობდა. ეს იყო ფინანსური სტაბილურობა, ეს იყო ინფრასტრუქტურა თუ ასე შემდეგ. და ეხლა უშიშროების, უსაფრთხოების თემაზე მომუშავე ხალხი, რა თქმა უნდა, აქტიურად ამაში არ ებმებოდა, მაგრამ, ნუ, კოორდინაცია იყო.

რაც შეეხება სახელმწიფო, ეხლა ჩემი მხრიდან ვიღაცის დადანაშაულება არ იქნება კორექტული იმდენად, რამდენადაც მე არც პროკურორი ვარ და არც გამომძიებელი და არც მოსამართლე. ალბათ ეს კომისია შეაფასებს ვინ როგორ იქცეოდა და რანაირად იქცეოდა და კომისია გამოიტანს თავის დასკვნებს. იმიტომ, რომ ეხლა მე ვერავიზე ვერც აუგს ვიტყვი, ვერც კარგს. მინდა დავამატო, მეც მინდა გავიცნო ის სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც გარბოდნენ, რომ არ მივესალმო, როგორც მინიმუმ. მაგრამ იმ შეხვედრებზე, სადაც მე ვიყავი, პრეზიდენტთან იქნებოდა, პრემიერთან თუ სხვასთან, მინისტრები, ჩემი კოლეგები, ყველა იყვნენ ხოლმე იქ და არც ერთი გაქცეული არ მინახავს.

თავმჯდომარე. დიდი მადლობა, ბატონო თემურ. თუ სხვა შეკითხვები არ არის დავხურავ. აა, ბატონ გაბაშვილს.

გ.გაბაშვილი. ბატონო თემურ, ჩვენ როგორც მოვისმინეთ თქვენგან, თქვენ ბოლო შეხვედრა გქონდათ 7–ში

კულახმეტოვთან. ბუნებრივია, ამის მერე საომარი მოქმედებები დაიწყო და უკვე ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დადების შემდგომ გამოქვეყნებულია მასალები. კერძოდ, გადაღებულია სატელიტური რუკები, სადაც დასტურდება, რომ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შემდგომ მოხდა ფაქტიურად მიწასთან მოსწორება ჩვენი სოფლების და იმ ეთნიკური წმენდისა, იმ აქტიური ფაზის ჩატარება. ამ ეტაპზე, თქვენ, იყო რაიმე შესაძლებლობა, ვთქვათ, იქ დეფაქტო კონტროლის მქონე ადამიანებთან, იგივე კულახმეტოვთან ხელახალ კონტაქტზე გასვლისა, რომ ჩვენ გვეკითხა მაინც, ვთქვათ, შეეძლოთ თუ არა მათ რაიმე ზეგავლენის მოხდენა, ან, რაიმე სხვა საშუალებით თუ იყო, ვთქვათ, აი, იმ დეფაქტო საოკუპაციო ძალებთან კონტაქტის დამყარების საშუალება.

თ.იაკობაშვილი. მინდა გითხრათ, რომ იყო, და არაერთი, მცდელობა. ეს იქნებოდა კულახმედოვთან დარეკვით, ელჩთან დარეკვით, პოპოვთან დარეკვით, იყო ძალიან ინტენსიური მცდელობები, რომ ყველაფერი რაც შეეხებოდა ჰუმანიტარულ თემას, ყოფილიყო ოპერატიულად გადაწყვეტილი, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ბოლომდე ამან შედეგი ვერ გამოიღო ისეთი, რომელიც შეეძლო გამოეღო ეს იყო მიზანმიმართული ეთნიკური წმენდა, რომლის შესახებ კოკოითმა გააკეთა კიდევაც სატელევიზიო განცხადება. მერე მართალია ცოტა შეუფუცხუნეს და შეცვალა, მაგრამ, იყო მიზანმიმართული ეთნიკური წმენდა განხორციელებული ქართული მოსახლეობის მიმართ, როგორც დიდი და ისე პატარა ლიახვის ხეობაში, და, სამწუხაროდ, ეს ჩვენი მცდელობები, რომ ამ დიპლომატიური საშუალებებით, ან უშუალოდ კულახმეტოვთან ურთიერთობის დროს შეგვეჩერებინა, ვერ მოხერხდა, თუმცა მცდელობები იყო არაერთი.

თავმჯდომარე.თუ არაა შეკითხვები მეტი, მაშინ დავხუროთ სხდომა, გთხოვთ, რომ ორგანიზაციულად ეს საკითხები მოვაგვაროთ, ვისაც აქვს დაშვების უფლება, ოქმზე დარჩეს, დანარჩენებმა დაგვტოვოს და გთხოვთ, გვაცნობოთ, როცა დაიხურება, როცა ...არ გავა უკვე სიგნალი ოთახიდან, რომ გავაგრძელოთ მუშაობა. გვაცნობეთ. მაშინ თუ არ გადის, უკვე სიგნალი, შემოვლენ და გვეტყვიან. არა, ხდება, ე.ი. ჩაწერა ხდება ნებისმიერ ვარიანტში.